სახ. სახ. რესპუბ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 162 (20508) — შაბათი, 15 ივლისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმის მონაწილეთა წინაშე

ამხანაგებო! კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ მუშაობდა პლენუმი, პარტიული აქტივი, როცა ამ პასუხსაგებ ეტაპზე განსაზღვრავდა ოლქის პარტიულ ორგანიზაციასა და ქალაქ ლენინგრადში სიტუაციის განვითარებას და წყვეტდა საკითხს პარტიის საოლქო კომიტეტის ახალი პირველი მდივნის შესახებ.

კარგია, რომ ამ საკითხს ერთად წყვეტდით. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ასეც უნდა იყოს, მით უმეტეს, ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციასთან — უდიდეს, გამოცდილ, გამოწრთობილ, უზარმაზარი პოტენციალის მქონე ორგანიზაციასთან ცენტრალური კომიტეტის ურთიერთობაში. მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე ვერ წარმომიდგენია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმატებული საქმიანობა საერთოდ და, რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოების განვითარების ახლანდელ შემობრუნებით უაღრესად მნიშვნელოვან მონაკვეთზე.

ყველანი დიდად ვართ დაინტერესებული იმით, რომ ლენინგრადელებმა თავიანთ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად დაძლიონ შექმნილი სიძნელენი. ამის გზა პარტიული ორგანიზაციებისა და ყველა კომუნისტის აქტიურობის გადიდება, მშრომელებთან მათი კავშირის განმტკიცებაა. ამისათვის ყოველივე საჭირო გაქვთ.

აქ ჩემი ჩამოსვლის ძირითადი მიზანი თქვენთვის ნათელია. ჩემს გეგმებში შედიოდა აგრეთვე შემესრულებინა დაპირება — შევხვედროდი იჟორელებს. ამ კოლექტივის გაცნობამ და მათთან საუბრებმა არაფორმალურ, გულახდილ ვითარებაში შესაძლებლობა მომცა ერთხელ კიდევ მეგრძნო ჩვენს ეკონომიკურ, სოციალურ ცხოვრებაში ცვლილებების მასშტაბი და ხასიათი, მუშათა კლასის განწყობილება.

მე გადმომედო იჟორელთა წუხილი გარდაქმნის ბედისა და იმისათვის, თუ როგორ მიმდინარეობს საქმე ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ ცენტრში, როგორიცაა ლენინგრადი და მისი ოლქი. მუშებთან საუბრების შთაბეჭდილებით, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნებთან საოლქო კომიტეტში გუშინ გამართულ შეხვედრაზე აზრთა გაზიარების შემოქმედებით აღმძრა სურვილი თუნდაც თეზისური წესით გამოვთქვა აქ მოსაზრება ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე.

პარტია და ქვეყანა ახლა განიცდიან თავიანთი ისტორიის ერთ-ერთ რთულ, იქნებ, ყველაზე რთულ პერიოდს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინიციატივით გაშლილი საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნა ახლა საზოგადოების ღრმა ფენებს სწვდება, მოსახლეობის ყველა ჯგუფის ინტერესებს ეხება. ამით არის ახლანდელი მომენტი განსაკუთრებული. ამას ველოდით.

გარდაქმნის პოლიტიკა — ეს არის პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ჩვენს საზოგადოებაში შექმნილ რეალურ სიტუაციას, ადამიანთა ინტერესებს. მის განვითარებაში ახლა დადგა მეორე და ყველაზე მთავარი ეტაპი — ეს არის ჩვენ მიერ შემუშავებული კონცეფციის პრაქტიკული განხორციელება. უკან დარჩა ბევრი დისკუსია და მიტინგი გარდაქმნის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ წარმოგვიდგენია იგი. ეს საჭირო იყო. ამან გამოაღვიძა საზოგადოება, აზრი ამოძრავდა. და თურმე, თითოეულს ჰქონია სათქმელი ამის თაობაზე.

ცხოვრებასთან გარდაქმნის კონცეფციის კავშირი ნამდვილად ეხება თითოეულს, მოიცავს ყველაფერს: ეკონომიკას, პოლიტიკას, სოციალურ და სულიერ სფეროებს. იგი ზემოქმედებს შრომით კოლექტივებზე, მოიცავს საბჭოებს, პარტიას, მმართველობის ორგანოებს, არმიას, ადმინისტრაციულ ორგანოებს, მეცნიერებას, კულტურას, ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროს.

ისეთ უზარმაზარ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, გარდაქმნის სამუშაოთა მასშტაბი გრანდიოზულია. გადავწყვიტეთ არ დავჯერებოდით რაღაც კოსმეტიკას, ზერელე მუშაობას, და დავადექით ჩვენი საზოგადოების ღრმა რევოლუციური გარდაქმნების გზას. ყველანი ვხედავთ, რომ გარდაქმნას თან სდევს სიძნელენი, წინააღმდეგობრივი მოვლენები, ინტერესთა შეჯახება. და ეს გასაგებია. ხელს ვიღებთ ქვეყნისა და საზოგადოების მართვის ძველ მეთოდებზე, აზროვნებისა და მოქმედების დამკვიდრებულ სტერეოტიპებზე. ხელს ვიღებთ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებზე, დიქტატზე, სახელმწიფო, სამეურნეო, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანოების ფუნქციათა აღრევასა და დუბლირებაზე. თავიდან ვიცილებთ საკუთრებისაგან, ძალაუფლებისაგან, კულტურისაგან ადამიანის გაუცხოებას. ეს იყო ოქტომბრის რევოლუციის მიზანი.

დღეს, ვძლევთ რა წარსულში დაშვებულ დეფორმაციებს, ვცდილობთ ავაღორძინოთ სოციალიზმის ნამდვილი ღირებულებანი, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ამაღლებასთან, საზოგადოებრივი ურთიერთობის, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ჰუმანიზაციასთან, დემოკრატიზაციასთან, საზოგადოებაში სოციალური დაცულობისა და სამართლიანობის გაზრდასთან. ეს კი, ამხანაგებო, დაკავშირებულია იმასთან, რომ გადაჭრით, თუ ამ უკანასკნელს გავუსვამთ ხაზს, უნდა დავძლიოთ გამათანაბრებელი ჩვევები და სხვისი მოიმედეობის ფსიქოლოგია.

ღრმად ვართ დარწმუნებული: თუ არ დავძლევთ გათანაბრების ტენდენციას, დასახულ მიზნებს ვერ მივაღწევთ. გათანაბრებას ამხანაგებო, ფესვები წარსულში აქვს გადგმული. ჩვენ დიდი ხანია უკვე შევეჩვიეთ იმას, რომ ვანაწილებდით, ვათანაბრებდით. ეს კი ზიანს აყენებს წარმოებას, შრომის ნაყოფიერებას. მაშასადამე, — ცხოვრების ხარისხსაც. თუ არ დავძლიეთ გამათანაბრებელი ტენდენციები, ჩვენს საზოგადოებაში ფესვგადგმული გათანაბრება, — ნამდვილი, სასურველი გარდაქმნა არ მოხდება. ეს პირდაპირ უნდა ვთქვათ.

რა თქმა უნდა, საჭიროა ადამიანის სოციალური დაცულობის გარკვეული დონე. მაგრამ შემდეგ, ამ დონეზე უფრო მაღლა მთელი მოცულობით უნდა მოქმედებდეს პრინციპი: თითოეულისაგან უნარის მიხედვით — თითოეულს შრომის მიხედვით. უამისოდ ადგილიდან ვერ დავიძვრებით, ამხანაგებო. „გაუთოებული და გასწორებული“ საზოგადოება უპერსპექტივო საზოგადოებაა. ამ შემთხვევაში დავრჩებით იქ, სადაც ვიმყოფებით. მაშასადამე, უნდა ავითვისოთ ცხოვრების ახალი ფორმები ეკონომიკაშიც და პოლიტიკურ პროცესშიც, ეროვნებათშორის ურთიერთობაში, მთელ სულიერ სფეროში. ყოველივე ეს რთულია, ყოველივე ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ უწინარეს ყოვლისა თავად უნდა შევიცვალოთ აზროვნებაში, შეხედულებებსა და საქციელში.

ამიტომ ეტაპს, რომელზეც დღეს დგას ქვეყანა, გარდამავალს ვუწოდებთ. ეს მუდამ ძნელი, მტკივნეული ეტაპია ყველა რევოლუციაში, რადგან მიმდინარეობს ყოველივე ძველის მსხვრევა და ამავე დროს ცხოვრებისა და საზოგადოების ფუნქციონირების ახალი ფორმების ჩამოყალიბების პროცესი. აი, თუ მოკლედ ვიტყვი, ახლანდელი მომენტის არსი.

აქედან გამომდინარეობს დაძაბულობაც და დაბნეულობაც. ხშირად ვაწყდებით პარადოქსულ ფაქტებს, როცა ერთსა და იმავე მოვლენაზე სულ სხვაგვარად ლაპარაკობენ და აფასებენ საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიები და ფენები. ეს იწვევს აზრების და მსჯელობის სხვადასხვაობას. ამას ბევრი მიიჩნევს ყოველივე იმის დაკარგვის საფრთხედ, რასაც მივაღწიეთ, გარდაქმნისათვის შექმნილ საფრთხედ. საჭიროა, ამხანაგებო, შევინარჩუნოთ სულის სიმტკიცე, თავშეკავება, რეალიზმი გარდაქმნის პროცესების შეფასებებში, სამომავლო პროგნოზებში.

პარტიის ამოცანა ის არის, რომ სწორად განუმარტოს ადამიანებს შექმნილი სიტუაცია, მისი განვითარების ტენდენციები. ნათელი უნდა იყოს, რომ რაკი რევოლუციური გარდაქმნები დავიწყეთ, ისინი მწვავედ უნდა მიმდინარეობდეს.

მაგრამ ამ დროს თავის ადგილზე უნდა დავსვათ როგორც კონსერვატორები, რომლებიც უკან გვეწევიან, გვაშინებენ, აი, სადაცაა ქაოსი დადგება და ქვეყანა დაინგრევაო, ისე ზერადიკალები, პოლიტიკური ავანტიურისტები, რომლებსაც სურთ ორი ნახტომით მიაღწიონ ყველაფერს. აქ ხომ ყველაფერი ცხადია: ისინი სხვადასხვა პრობლემასა და სიძნელეზე სპეკულანტობენ, მაგრამ არ სურთ გასწიონ კონსტრუქციული მუშაობა იმისათვის, რომ დაძლიონ დაძაბულობა, გამოასწორონ შეცდომები და წინ წასწიონ გარდაქმნის მთელი პროცესი.

ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავ — ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სულის სიმტკიცე, გამძლეობა, რეალიზმი ყოველივე იმის შეფასებაში, რაც ხდება, ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების მიზნების თანამიმდევრული განხორციელების მეშვეობით, საჯაროობის პირობებში დემოკრატიული ცვლილებების განმტკიცებისა და გაღრმავების მეშვეობით, სამართლებრივი სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების მეშვეობით გარდაქმნის წინსვლისათვის პოლიტიკისა და პრაქტიკული ნაბიჯების პროგნოზირებაში. მხოლოდ ასე შევძლებთ, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ათწლეულების მანძილზე ყოველივე მიღწეულზე დაყრდნობით, სოციალისტური იდეალების რეალიზაციის გზით გამოვავლინოთ ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების პოტენციალი საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე, მივანიჭოთ სოციალიზმს ახალი დინამიკა, ახალი სახე.

ჩემი ფიქრების შემდეგი თეზისია სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობა, რომელიც ახასიათებს ჩვენს საზოგადოებას, მათ შორის სიტუაციას ლენინგრადში. ეს მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ბაზრის, უწინარეს ყოვლისა, სურსათთან, აგრეთვე დაგროვილ მრავალ პრობლემასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, რომლებიც ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს როგორც ქალაქში, ისე სოფლად მშრომელთა ცხოვრების პირობებზე. გუშინდელმა შეხვედრებმა და საუბრებმა და უპირველეს ყოვლისა იჟორის ქარხნის მუშებთან საუბრებმა, შემიქმნა მტკიცე რწმენა, რომ ადამიანებს არათუ არ დაუკარგავთ ინტერესი გარდაქმნისადმი, არამედ ისინი ბედს — როგორც თავის პირად, ისე შრომითი კოლექტივის ბედს — უკავშირებენ სწორედ გარდაქმნას. და თუ ისინი რაიმეთი უკმაყოფილონიც არიან, ეს არის ის, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა იქ, სადაც ისინი შრომობენ, სადაც ცხოვრობენ. ისინი აღნიშნავენ ნაკლოვანებებს როგორც ცენტრის მუშაობაში, ისე ადგილობრივი ორგანოების მუშაობაშიც. ხალხი უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ მოქმედებენ ჩვენი კადრები. ჩვენ არა მარტო ყურად უნდა ვიღოთ ეს შეშფოთება, არამედ აღვიქვათ, გავიაზროთ და წარმოვსახოთ იგი კონკრეტული გადაწყვეტილებებით ცენტრში, ადგილობრივი ორგანოების, სამეურნეო კადრებისა და თვით შრომითი კოლექტივების დიდი პრაქტიკული, ორგანიზატორული მუშაობით.

ჩვენ ჯერ კიდევ ჯეროვნად არ ვზრუნავთ იმისათვის, რომ კონკრეტულ პირობებში, თითოეულ რესპუბლიკაში, ოლქში, რაიონში, ქალაქში, შრომით კოლექტივში წყდებოდეს მარტივი, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ადამიანებს უჩვენებს, რომ ჩვენს ცხოვრებაში ნამდვილად იცვლება რაღაც. ხალხს კი ხომ კარგად ესმის, რომ დიდი, ღრმა ცვლილებანი დროსაც მოითხოვს, ძალისხმევასაც და რესურსებსაც. მაგრამ ადამიანები ვერ ურიგდებიან იმას, როცა ცხოვრების მარტივი, ყოველდღიური საკითხები ვერ წყდება.

მართლაც, ამხანაგებო, აი კონკრეტული მაგალითი გაერთიანება „იჟორის ქარხნის“ ცხოვრებიდან. თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ იქ მშვენიერი კოლექტივია, იგი წყვეტს დიდ ეკონომიკურ, ტექნიკურ ამოცანებს, ცნობილია თავისი მიღწევებით, თავისი კომპეტენტურობით, საქმის მასშტაბურობით, ნოვატორული მიდგომით. ეს ვლინდება მეურნეობრიობის ახალი ფორმების ათვისებითაც. და, ამავე დროს, როგორი კონტრასტებია! ჩვენ ვიყავით № 19 საამქროში, სადაც მუშებმა მიგვიწვიეს. ამ საამქროში აწარმოებენ სახალხო მოხმარების საქონელს, სხვათა შორის, კარგ საქონელს, რომელზეც მოთხოვნაა ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. მაგრამ რა პირობებში მუშაობენ ადამიანები? ეს, პირდაპირ გეტყვით, პეტრეს ხანაა. გაოცდები, როგორ შეიძლება ერთმანეთის გვერდით იყოს კოლექტივის დიდი მიღწევები და ასეთი ტექნიკური ჩამორჩენილობა. ორი წელია მიმდინარეობს სჯა-ბაასი ვენტილაციაზე და ვერ მოუგვარებიათ. საშინელი მტვრიანობა, აუტანელი პირობებია. ეს სირცხვილია! არადა, საამქროში ხომ უპირატესად ქალები მუშაობენ.

რაო, ამხანაგებო, მილიარდებია აქ საჭირო? დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ საამქროს რეკონსტრუქცია. აი, უყურებს ხალხი ამას და ფიქრობს: ოთხი წელია მიმდინარეობს გარდაქმნა, და არაფერი არ იცვლება. ეს იწვევს გაღიზიანებას, აღშფოთებას, კრიტიკას. წინათ მშრომელთა საჭიროებებისადმი უყურადღებობა უმტკივნეულოდ ჩაივლიდა ხოლმე, ახლა ასე არ გამოვა. ეს უნდა ესმოდეთ ჩვენს კადრებს.

სად არიან პროფკავშირული ორგანიზაციები? სად არიან პარტიული ორგანიზაციები? სად არის მათი პრინციპულობა? მოყვანილი მაგალითი თითქოს და არცთუ ისე მასშტაბურია, მაგრამ აქ არის იმის გაგების გასაღები, რატომ არსებობს დაძაბულობა ლენინგრადში, ქვეყნის სხვა ქალაქებსა და ოლქებში.

აქ ჩემი მსჯელობის ხიდი უნდა გავდო საერთო სიტუაციიდან, იმის შესახებ, თუ რა ხდება სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში — რეფორმასთან, კოოპერატივებთან, არენდასთან, საშინაო ბაზარზე მდგომარეობასთან დაკავშირებით — ცენტრისაკენ. ბევრი რამ დაკავშირებულია ცენტრის ხარვეზებთან. აქედან უნდა გამოვიტანოთ გაკვეთილები. ამაზე უკვე დავიწყეთ მუშაობა. ჩამორჩენა, არაკომპეტენტურობა, ამა თუ იმ გადაწყვეტილების შედეგების გაუთვალისწინებლობის უუნარობა — ყოველივე ამას, ამხანაგებო, საბოლოო ანგარიშით მივყავართ კადრებთან. ჩვენი კადრები უფრო სწრაფად და უფრო მტკიცედ უნდა ადგებოდნენ გარდაქმნის გზას, ცვლიდნენ თავიანთ მეთოდებს, ფართოდ იყენებდნენ დემოკრატიულ ინსტრუმენტებს საკითხების განხილვაში, გადაჭრაში, მუდმივი კავშირი ჰქონდეთ მშრომელებთან, აბამდნენ მათ ეკონომიკური, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა პროცესში. სხვა გზა არ არის. როცა ადამიანებს ყველაფერი ეცოდინებათ — ისინი, ჯერ ერთი, არ დაუშვებენ, რომ მარტივი საკითხების გადაჭრა გადაიდოს, მეორე მხრივ, მათ ეცოდინებათ, რომ დიდი საკითხები მოითხოვს დროს, პრიორიტეტების განსაზღვრას, განლაგებას ვადების მიხედვით.

ჩვენ საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები იმის საფუძველზე უნდა გადავჭრათ, თუ როგორ ჩამოვაყალიბეთ ჩვენი გეგმები: სურსათი, საქონელი, საცხოვრებელი. აქ საქმე უფრო გაბედულად უნდა წარვმართოთ, რათა ადამიანებმა უფრო სწრაფად იგრძნონ შედეგები. გუშინ პარტიის რაიონული კომიტეტის რომელიღაც მდივანმა სწორად შენიშნა: მრავალი ამოცანა ნელა წყდება, რადგან ცენტრი ბრალს სდებს ადგილობრივ ორგანოებს, ისინი კი ძველი ჩვეულებისამებრ ცენტრზე მიუთითებენ იმ საკითხების გადაჭრის დროსაც კი, რომლებზეც მას არასოდეს არ უმუშავია და არც უნდა იმუშაოს.

მინდა გამოვყო კიდევ შემდეგი. ხშირად საწარმოო კოლექტივები, ხელმძღვანელობენ რა მხოლოდ თავიანთი სარგებლით, თავს ითავისუფლებენ იმის წარმოებისაგან, რაც ხალხს, საზოგადოებას სჭირდება. ამან, ამხანაგებო, შეიძლება ჩაშალოს მრავალი ჩვენი სოციალური გეგმა. ასეთი ტენდენცია, როცა საწარმოო კოლექტივები ჯგუფური ეგოიზმის ზეგავლენით უარს ამბობენ იმის წარმოებაზე, რაც საარსებოდ საჭიროა ხალხისთვის, ლახვარს სცემს ყველაფერს, მათ შორის თვით ამ კოლექტივებსაც. ამწუთიერი სარგებელი საბოლოო ანგარიშით დანაკარგად იქცევა.

მწვავედ დგას საბინაო საკითხი. რეგიონებშიც, ქალაქებშიც, საწარმოებშიც იგი სხვადასხვაგვარად წყდება. გაიხედავ და, ხუთიათასიანი კოლექტივი ორ-სამ სახლს აშენებს, ხოლო იჟორის ქარხანაში, სადაც 30 ათასზე მეტი მომუშავეა, წელიწადში ერთ-ორ სახლს აშენებენ. განა ეს მასშტაბებია? ვფიქრობ, უსაფუძვლოა მხოლოდ ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების იმედით ყოფნა. საჭიროა საკუთარი ინიციატივა, სამეურნეო წესი. ამის შესაძლებლობანი არის.

(დასასრული მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

წერილი

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებს, ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოგმართოთ სპეციალური წერილით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შექმნილ სიძნელეებთან დაკავშირებით. წლევანდელმა ამინდმა არასასიკეთო გავლენა მოახდინა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ ქვეყნის მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის მდგომარეობაზე. აღმოსავლეთ საქართველოში ხანგრძლივი გვალვის, სხვა რეგიონებში კოკისპირული წვიმებისა და სხვა არახელსაყრელი, ზოგჯერ ექსტრემალური ბუნებითი მოვლენების შედეგად ძირითად ფართობებზე დაიღუპა ან ძლიერ დაზიანდა საშემოდგომო კულტურები, გაჭიანურდა თესვის ვადები, ჩამორჩენით და დიდი დანაკარგებით მიმდინარეობს მთელი სამუშაოები. მარცვლეულისა და მემცენარეობის მთელი რიგი სხვა ძირითადი პროდუქტების მოსავლიანობა საშუალო დონეზე გაცილებით მცირეა მოსალოდნელი. ცუდად არის მეცხოველეობისათვის საკვების დაგროვების საქმეც, პირუტყვის გამოზამთრება მეტისმეტად მძიმე იქნება.

სერიოზული ჩამორჩენა, ალბათ, არ შეიძლება აიხსნას მარტოოდენ ამინდის არახელსაყრელი პირობებით. ვითარება გაცილებით სერიოზულია, წლის მოსავლის გადარჩენა ჩვეულებრივი მეთოდებით შეუძლებელია.

დღეს გვჭირდება შრომის დიდი ორგანიზაცია, თანამიმდევრულობა და თავდადება, იმის უნარი, რომ ავამოქმედოთ მთელი ძალები და საშუალებები მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად. ჩვენი რესპუბლიკა მცირემიწიანია, ამიტომ ყოველი ჰექტარი ინტენსიურად უნდა იყოს გამოყენებული. მინდვრებიდან ავიღოთ მაქსიმალური მოსავალი, მივაღწიოთ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდას, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა რიტმულ ფუნქციონირებას, უმეტესი უკუგებით გამოვიყენოთ ყოველი სამუშაო დღე და საათი — ასეთი უნდა იყოს დევიზი მთელ შრომით ფრონტზე. მაგრამ ყველგან როდი შეიგნეს შექმნილი ვითარებისა და მოსალოდნელი შედეგების სერიოზულობა, ყველგან როდი გამოიტანეს შესაბამისი დასკვნები, მუშაობა მეტად ნელა, ზოგჯერ არაორგანიზებულად, უხარისხოდ, წესებისა და ოპტიმალური ვადების დარღვევით წარმოებს. გახშირდა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, ცალკეული საწარმოო ქვედანაყოფებისა და მთელი საწარმოების მოცდენის შემთხვევები, გაიზარდა არამწარმოებლური ხარჯები და პროდუქციის დანაკარგები.

საჭირო გარდაქმნა არ იგრძნობა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. წელს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით გეგმები მეტად დაძაბულია, მაგრამ ისინი აუცილებლად უნდა შესრულდეს. ამის უპირველესი პირობაა ადგილებზე ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ზუსტი ორგანიზაცია, ყველა ტექნოლოგიური მოთხოვნის დაცვა. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგია, მემცენარეობის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის სხვა გზები. უფრო ეფექტიანად და მასშტაბურად უნდა დავნერგოთ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები, მათ შორის საარენდო ურთიერთობა მიწის, ყველა საწარმოო ფონდის უკეთ გამოყენებისათვის.

ამას ვერ შევძლებთ, თუ არ გამოვიჩენთ სიმტკიცეს დასახული მნიშვნელოვანი ჩამორჩენის დაძლევის საქმეში. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიულ, საბჭოთა, აგროსამრეწველო და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების საქმიანობაზე — მთელი მუშაობა მათ მკაცრ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. მათ უფრო ხშირად, საგნობრივად და საქმიანად უნდა გააანალიზონ ვითარება, გამოავლინონ ხარვეზები და შეცდომები, მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებით მოგმართავთ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა შრომით კოლექტივსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში დეტალურად განიხილოთ საწარმოო პროგრამების შესრულების მიმდინარეობა, დასახოთ და განახორციელოთ კონკრეტული პოლიტიკური, ორგანიზაციული და სამეურნეო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოთ დიდი შრომითი შემართება, აამოქმედოთ მთელი რესურსები და რეზერვები. ეს უნდა იყოს სოფლის მშრომელთა, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა მუშაკის, მთელი მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. რესპუბლიკის თითოეული კომუნისტის, თითოეული ნამდვილი პატრიოტის მოვალეობაა იყოს ავანგარდში, თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი საზოგადოების პროგრესისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, შრომითი კოლექტივების საბჭოები ჩაუდგნენ სათავეში მოსავლისათვის ბრძოლას, გამოიყენონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მდიდარი არსენალი. ახლა საჭიროა უმკაცრესი დისციპლინა, მინდობილი უბნისათვის თითოეულის პასუხისმგებლობის გაძლიერება. უამისოდ ვერ დავძლევთ შექმნილ სიძნელეებს, წარმატებით ვერ გავართმევთ თავს ამოცანებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკები, ყველა მშრომელი მაქსიმალურ პასუხისმგებლობას გამოიჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების, პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელების საქმეში მათ მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ვიყოთ საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების ავანგარდში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა გარდაქმნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაჭრაში კომუნისტთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ზრდისათვის ასპინძის რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის ასპინძის რაიკომი, რაიონის პირველადი პარტორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებით, გარკვეულ მუშაობას ეწევიან გარდაქმნით წამოყენებული ამოცანების განხორციელებაში, დემოკრატიის განვითარებაში, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაში კომუნისტთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ზრდისათვის. ფართოდ გავრცელდა პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, მოსახლეობის წინაშე პარტიული და სამსახურეობრივი მოვალეობების, ცალკეული დავალებების შესრულების, ზოგიერთი აქტუალური პრობლემის გადაჭრის მიმდინარეობის შესახებ კომუნისტების, მათ შორის ხელმძღვანელი კადრების ანგარიშების პრაქტიკა. კომუნისტები — რაიონული ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციების, მეურნეობების ხელმძღვანელები ხვდებიან მშრომელებს, გულახდილად აცნობენ მათ არსებულ სირთულეებსა და სიძნელეებს, მართავენ გულახდილ დიალოგსა და დისკუსიებს სხვადასხვა საზოგადოებრივი მოძრაობის წარმომადგენლებთან, ახსნა-განმარტებებს იძლევიან ხალხისათვის საჭირბოროტო საკითხებზე. პარტიის რაიკომის მუშაკები ყოველკვირეულად ხვდებიან მოქალაქეებს როგორც საცხოვრებელ ადგილას, ისე უშუალოდ შრომით კოლექტივებში. დაწესებულია კომუნისტთა თავისუფალი დასწრება რაიკომის პლენუმებსა და ბიუროების სხდომებზე. სოციალურ საკითხთა განაწილებასთან დაკავშირებული საკითხები საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით წყდება. მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციების ინიციატივით რაიონში, ადგილობრივი რესურსების გამოყენებით, შეიქმნა სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების ფონდი. მთლიანად რაიონში სტაბილური პოლიტიკური ვითარება, ადამიანები განწყობილი არიან კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადასაწყვეტად.

ამავე დროს, კომუნისტებთან რაიკომისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობას აკლია სისტემურობა და თანამიმდევრულობა, ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნება, რის შედეგადაც მრავალი პარტიელი აქტიურ შემტევ პოზიციას არ ადგას, არსებული ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლაში, ნაკლებად ახდენს გავლენას შრომითი კოლექტივების ცხოვრებასა და საქმეებზე, ამ კოლექტივებში ჯეროვანი პოლიტიკური ატმოსფეროს ფორმირებაზე. არცთუ იშვიათია პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დარღვევების, თვით კომუნისტების მხრივ ზნეობრივი ნორმებიდან გადახვევის ფაქტები, რასაც ყოველთვის არ ეძლევა პრინციპული შეფასება პარტიულ კოლექტივებში. ხელმძღვანელი კადრების ნაწილი არ უჩვენებს სათანადო პირად მაგალითს საქმისადმი, ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში. კომუნისტები ხშირად თავს არიდებენ მტკივნეული საკითხების მწვავე, პრინციპულ განხილვას.

კომუნისტთა პასუხისმგებლობის ზრდისათვის პარტიის რაიკომის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ხშირად დაკავშირებული არ არის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საქმეებში მათ კონკრეტულ მონაწილეობასთან, გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანათა გადაწყვეტაში პირად წვლილთან. ამის შედეგად ვერ აღწევენ სერიოზულ პოზიტიურ ძვრებს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მრავალ სფეროში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის ასპინძის რაიკომს დაავალა შეიმუშაოს და განახორციელოს კომუნისტებთან მუშაობის ერთიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მათი ავტორიტეტისა და გავლენის, გარდაქმნით განპირობებულ საზოგადოების ცხოვრების განახლების პროცესებში მათი წვლილის მნიშვნელოვან თვისებრივ ზრდას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და, კერძოდ, სოფლად ახალი საწარმოო ურთიერთობის, ნამდვილი არენდისა და ძლიერი გლეხთა მეურნეობების შექმნის საფუძველზე ეფექტიანი და რაციონალური მიწათსარგებლობის დამკვიდრებაში რეალური შედეგების მიღწევას.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება ეძლევათ, რეგიონებში პოლიტიკური სიტუაციის თავისებურებათა ანალიზის საფუძველზე, გაშალონ პარტიულ ორგანიზაციებში ინდივიდუალური გასაუბრებანი კომუნისტებთან, გამოარკვიონ მათი შეხედულებანი და პოზიციები სხვადასხვა მტკივნეულ პრობლემასა და მათი გადაჭრის გზებზე, მისცენ სწორი ორიენტაცია პარტიულ საქმიანობაში გარდაქმნის პროცესების განვითარებისა და გაღრმავებისათვის, კომუნისტთა ავტორიტეტის ზრდისთვის მოქმედების სტრატეგიისა და ტაქტიკაში. თითოეულ კომუნისტს უნდა დაეხმარონ გაიაზროს თავისი დამოკიდებულება საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისადმი, თვითკრიტიკულად შეაფასოს საკუთარი თავი და თავისი მოქმედება, გამოიმუშაოს ზუსტი პოლიტიკური და ზნეობრივი პოზიცია.

პარტიის ძირეულ რგოლებში კომუნისტთა კრებებზე უპარტიოთა ფართო მონაწილეობით, აშკარა და გულახდილი აზრთა გაზიარების, ფორმალიზმისა და ზედმეტი ორგანიზებულობის უმცირესი გამოვლინებების დაუშვებლობის პირობებში უნდა განიხილონ შრომითი კოლექტივების ცხოვრებასა და საქმეებზე პარტიულ გავლენის გაძლიერების, პარტიელთა შორის პოლიტიკური მებრძოლის თვისებების აღორძინების, უძრაობის ხანაში ჩამოყალიბებული მათი გარკვეული პოლიტიკური ინფანტილიზმის დაძლევის ამოცანები; თითოეული კომუნისტი მოვალეა არ გააუბრალოოს პოლიტიკური ღირებულებანი, დაიცვას პარტიისა და ხალხის უზენაესი ინტერესები, შეეძლოს აწარმოოს პოლიტიკური დისკუსიები და დიალოგი ადამიანებთან დემოკრატიული საზოგადოების ფარგლებში, ამასთან არ დაუშვას არავის მხრიდან მიუღებელი ულტიმატური ფორმები და ძალადობის მეთოდები.

უნდა გადაისინჯოს პარტიული სწავლების შინაარსი, აღმოიფხვრას მასში დოგმატიკური მიდგომები და მიმართულება, მიენიჭოს მას, ძირითადად, ინფორმაციული და სადისკუსიო ხასიათი.

პარტჯგუფებისა და მცირერიცხოვან საამქრო და პირველადი პარტორგანიზაციებში მომავალ საარჩევნო კრებებზე მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს არა იმდენად პარტიული ხელმძღვანელის განხილვას, რამდენადაც პარტიის მიერ წამოყენებული ამოცანების განხორციელებაში თითოეული კომუნისტის პირად წვლილსა და როლს. კრებებმა უნდა მოუსმინონ ყველა კომუნისტს, ისინი უნდა გახდეს თავისებური კოლექტიური ანგარიში ხალხის წინაშე თავიანთი საქმიანობის შესახებ, ზუსტად განსაზღვრონ პარტიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების ადგილი, პოზიციები და გავლენა გარდაქმნის ახლანდელი ეტაპის პრინციპული საკითხების გადაჭრაში.

(დასასრული მე-2 გვ.)

მის აღმატებულებას ბატონ ფრანსუა მიტერანს

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

საბჭოთა ხელმძღვანელობა, საბჭოთა ხალხი გულწრფელად გილოცავენ საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულს — ბასტილიის აღების დღეს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავს.

მისი უკვდავი დევიზი „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა!“ ჩვენს დროშიც აღაფრთოვანებს ყველა პროგრესულ ადამიანს. ახლანდელ ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში ეს იდეები ივსება აგრეთვე ახალი შინაარსითაც ახალი აზროვნების კალაპოტში.

ფრანგ და საბჭოთა ხალხებს დღეს კიდევ უფრო აახლოებთ მისწრაფება უფრო უსაფრთხო, ჰუმანური და დემოკრატიული მსოფლიოსადმი, „საერთო-ევროპული სახლის“ ასაშენებლად ერთობლივი მუშაობისადმი.

ამას მოწმობს საფრანგეთთან ჩვენი ამასწინანდელი შეხვედრის მთელი ატმოსფეროც, თქვენთან ჩვენი დიალოგის, მოლაპარაკებისა და იმ შეთანხმებების შინაარსიანობა, მასშტაბი და მნიშვნელობა, რომლებიც დაიდო ამ დღეებში. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ზრდის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობის პოტენციალს ჩვენი ხალხების, ევროპისა და მსოფლიოს საკეთილდღეოდ.

გთხოვთ გადასცეთ მშვიდობისა და აყვავების საუკეთესო სურვილები ყველა ფრანგს.

პატივისცემით
მ. გორბაჩოვი.

სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ლენინგრადი, 12 ივლისი (საკდესი). დღეს აქ გაიმართა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ორგანიზაციული საკითხი განიხილა.

პლენუმმა ი. ფ. სოლოვიოვი გაათავისუფლა სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან თავისივე თხოვნით და პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი ბ. ვ. გიდასპოვი, რომელიც წინათ დარგთშორისი სახელმწიფო გაერთიანება „ტექნოქიმიის“ გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი. (გამოსვლის ტექსტი დღეს ქვეყნდება).

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვს დაბრუნდა

12 ივლისს ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომისიაში

12 ივლისს ა. ნ. იაკოვლევის თავმჯდომარეობით გაიმართა საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების კომისიის მორიგი სხდომა. მოისმინეს სამუშაო ჯგუფების ცნობები იმ დოკუმენტების გამოვლენისა და შესწავლის შესახებ, რომლებიც აღნიშნულ დროს განეკუთვნება, გაიმართა აზრთა გაზიარება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალების რეალიზაციის საკითხებზე.

„გმირი დედის“ წოდება მიენიჭათ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „გმირი დედის“ წოდება მიენიჭათ და „გმირი დედის“ ორდენი გადაეცათ თბილისელ დიასახლისებს ნანული ალექსანდრეს ასულ მელაძეს და ვერა ნიკოლოზის ასულ ლუკინოვას — დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 12 ივლისს 78 წლისა გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, პარტიისა და შრომის ვეტერანი

გიორგი საბას ძე სხინიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმის მონაწილეთა წინაშე

(დასასრული)

ისეთი დიდი კოლექტივი, როგორიც გაერთიანება „იჟორის ქარხანაა", ლენინგრადში ცოტაა. მათ შეუძლიათ ბევრი რამ გააკეთონ. მაშინ მშენებლებს შესაძლებლობა ექნებათ შეასრულონ ცენტრის რეკონსტრუქციის პროგრამა და უფრო სწრაფად გააუმჯობესონ მკვიდრ ლენინგრადელთა საბინაო პირობები. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი მსხვილი საწარმოები ყოველთვის როდი იღებენ ყურად პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების აზრს, მშრომელთა საჭიროებებს. აქ უნდა გავერკვეთ საქმეში. განიხილეთ, იმუშავეთ ამაზე, ამხანაგებო.

შემდეგ. ერთდროულად უნდა განვახორციელოთ გადაუდებელი ღონისძიებანიც და გადავდგათ დიდი ნაბიჯები პერსპექტივის გზაზე. არ ვაპირებ ახლა ჩამოვაყალიბო ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გზაზე წინსვლის ყველა ეტაპი. მინდა მხოლოდ ყურადღება მივაპყრო ორ პუნქტს ამოცანების ამ კომპლექსში.

პირველი. ვერ მივაღწევთ ძირეულ ცვლილებებს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ხალხის საარსებო პირობების გაუმჯობესებაში, თუ კარდინალურად არ გარდავქმნით საწარმოო და ეკონომიკურ ურთიერთობას ქალაქში, მრეწველობასა და აგრარულ სექტორში. უნდა ვეძებოთ ახალი იმპულსები ჩვენი ეკონომიკის პოტენციალის გამოვლენისათვის, ისინი კი არის ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნის გზაზე, საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებულ პოტენციურ შესაძლებლობათა რეალიზაციაში. უნდა შევიმუშაოთ ეკონომიკური ცხოვრებისა და საქმიანობის ორგანიზაციის ახალი ფორმები, შევქმნათ ყველა საჭირო იურიდიული, ეკონომიკური და სოციალური წანამძღვარი ფართო სამეურნეო ინიციატივის, დამოუკიდებლობის გამოვლინებისათვის.

საერთოდ, მტკიცედ უნდა დავადგეთ ამ გზას, ეკონომიკა გადავიყვანოთ სამეურნეო ანგარიშზე, გამოვიყენოთ სოციალისტური საკუთრების რეალიზაციის სულ სხვადასხვა ფორმები — არენდაც, იჯარაც, კოოპერატივებიც, აქციებიც. მაგრამ იმ თვალსაზრისით, რომ იქმნება ახალი ეკონომიკური გარემო, რომელშიც ყველა საწარმოს, სხვადასხვა ფორმებს რომ იყენებენ, უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობანი. სწორედ აქ არის დაშვებული ბევრი გადახრა, მათ შორის კოოპერატივების მიმართაც.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ იმან, ვინც მტკიცედ დაადგა ღრმა ცვლილებების გზას, უკვე მიაღწია პირველ პოზიტიურ შედეგებს. დარგთშორისი სახელმწიფო გაერთიანების „ენერგომანქანის" ფარგლებში უკვე თავდაპირველ ეტაპზე იჟორელებმა ცხადყვეს ეკონომიკის ორგანიზაციის ახალი ფორმების, კაცმა რომ თქვას, მთელი მათი კონცერნის დიდი შესაძლებლობანი. ახლა ისინი თვითონ ეძებენ პარტნიორებს, ამყარებენ მრავალგვარ საქმიან ურთიერთობას — ვერტიკალურადაც და ჰორიზონტალურადაც, საზღვარგარეთაც გავიდნენ. ეს-ეს არის დაბრუნდა ფინეთიდან ამხანაგი ფომინი — დარგთშორისი სახელმწიფო გაერთიანების თავმჯდომარე — და თქვა, რომ ხელსაყრელი შეთანხმება დადო. საქმე ეხება მილიონებს. ინტერესი პროდუქციისადმი დიდია.

შეხედეთ, საქმე ისე შემობრუნდა, რომ ეს ფორმა დინამიკური, მოქნილი ხდება, შეუძლია სწრაფად შეეგუოს სიტუაციას. აქ აზრი ისეთი იყო, რომ ლენინგრადმა, გამოიყენა რა მეცნიერება, გამოცდილება, სამეურნეო კადრების კომპეტენტურობა, გვიჩვენა მეურნეობრიობის ახალი ფორმების ათვისების მაგალითი. თქვენს ქალაქში ერთ-ერთი წინა ჩამოსვლის დროს ვთქვი, ლენინგრადი გარდაქმნის ავანგარდში უნდა იყოს-მეთქი. ვფიქრობ, ეს ამოცანა დღესაც რჩება. და იგი ხელეწიფებათ ქალაქისა და ოლქის პარტორგანიზაციას, მშრომელებს.

მეორე. პოლიტიკური რეფორმის ფარგლებში, მის მეორე ეტაპზე, უდიდესი მუშაობა მოგვიწევს, რათა მოვემზადოთ და ჩავატაროთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ჩვენ უნდა შევქმნათ დეპუტატთა ეფექტიანად მომუშავე კორპუსი, მკვეთრად გავზარდოთ საბჭოების როლი, განვახორციელოთ ადგილობრივი ორგანოებისათვის ძალაუფლების რეალური გადაცემა, ამისათვის უნდა მოვამზადოთ თითოეულ რესპუბლიკაში საარჩევნო კანონი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების განვლილი კამპანიის გაკვეთილების გათვალისწინების საფუძველზე. ამისათვის საჭიროა უმაღლეს საბჭოშიც, შემდეგ კი ყრილობაზეც მივიღოთ მნიშვნელოვანი დოკუმენტების მთელი პაკეტი — კანონი მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გაფართოების ფარგლებში რეგიონული სამეურნეო ანგარიშის შესახებ, კანონი ადგილობრივი საბჭოების შესახებ, თვითმმართველობის შესახებ და სხვები.

ეს საკვანძო კანონებია, რომლებმაც უნდა შექმნან ადგილებზე ძალაუფლების რეალური გადაცემის წანამძღვრები, შექმნან ეკონომიკური დამოკიდებულება საბჭოებსა და იმ სამეურნეო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მათ ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ. ლენინგრადისაგან ველით კომპეტენტურ აზრებს, წინადადებებს, თუ როგორ შევასრულოთ ეს მუშაობა, რათა მივაღწიოთ დასახულ მიზნებს. სწორედ თქვეს დღეს ამხანაგებმა: უკვე ახლა უნდა ვემზადოთ, თანაც საფუძვლიანად, მომავალი საარჩევნო კამპანიისათვის, არაფერი არ გავამარტივოთ, არ გავიმეოროთ წარსული საარჩევნო კამპანიის შეცდომები.

ახლა რამდენიმე მოსაზრება თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის შესახებ. ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკითხია, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას აწუხებს, იგი იყო ცენტრალურთა შორის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზეც, აღიძრა გუშინ მუშებთან შეხვედრებზე, პარტიული კომიტეტების მდივნებთან საუბარში.

მუშაობის მბრძანებლურ-ავტორიტარული სტილის ხანგრძლივმა წლებმა, როცა პარტია კისრულობდა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ოპერატიულ ფუნქციებსაც, მასების შეგნებაში ჩამოაყალიბა სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ეკისრება აბსოლუტური, გლობალური პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის, ყოველი მასშტაბის წმინდა სამეურნეო ნაკლოვანებებისათვისაც კი, სადაც რა უნდა მოხდეს. კონკრეტული შემსრულებლები და ბრალეულები კი — სამინისტროები, უწყებები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი, ცალკეული მუშაკები განზე გამდგარი აღმოჩნდნენ.

პარტიას არ შეუძლია და არც უნდა აარიდოს თავი პასუხისმგებლობას საზოგადოებაში კრიზისისათვის. ეს პირდაპირ, პარტიული პრინციპულობით ითქვა სკკპ ყრილობაზე, XIX პარტიულ კონფერენციასა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე.

მაგრამ, ამავე დროს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, როგორც მმართველმა პარტიამ, რომელსაც შეგნებული აქვს პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, ჩვენს საზოგადოებაში, შექმნილი სიტუაციის საფუძველზე ოთხმოციანი წლების დამდეგს შეიმუშავა და წამოაყენა გარდაქმნის პოლიტიკა, პოლიტიკა, რომლის მიზანია სოციალისტური წყობილების უდიდეს შესაძლებლობათა გამოვლენა. ამ პოლიტიკას მთელმა ხალხმა დაუჭირა მხარი.

არადა, როცა ვამბობთ, რომ გვაწუხებს მზარდი კრიტიკა პარტიის მიმართ, მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით ვერ შემოვიფარგლებით. ეს წუხილი გაისმა აქაც, პარტიის საოლქო კომიტეტში. უფლება არა გვაქვს დავუშვათ დაბნეულობის გამოვლინებანი ახალი პოლიტიკური სიტუაციის წინაშე, მოვალენი ვართ დავინახოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ფესვები, რადგან ამით გამოიხატება საბჭოთა ადამიანების მიერ გარდაქმნის პრაქტიკის, მისი რეალური შედეგების შეფასება.

ქვეყანაში საქმის ვითარების გამო საზოგადოებრიობის დაუკმაყოფილებლობამ თავი იჩინა იმითაც, რომ მთელმა რიგმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა ვერ მიიღეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მანდატები. ბევრი კანდიდატის — პარტიული მუშაკის, კომუნისტის მარცხის მიზეზები განპირობებულია გარდაქმნის მთელი რიგი მიმართულებებით, პარტიის საქმიანობისადმი მშრომელთა კრიტიკული დამოკიდებულებით.

საზოგადოებაში გარკვეული დაძაბულობის ვითარებაში არ შეიძლება არ გამოჩენილიყვნენ ძალები, რომლებიც შეგნებულად ცდილობენ სახელი გაუტეხონ პარტიას, მის ორგანოებს, კომუნისტებს. სამწუხაროდ, მათ ყოველთვის ჯეროვან წინააღმდეგობას როდი უწევდნენ და უწევენ პარტიული კომიტეტები, პარტიული ორგანიზაციები, საზოგადოებრიობა, ეს ეხება პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობასაც.

აზრების, კრიტიკული გამონათქვამების მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად, მაინც გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ საზოგადოებაში ღრმად ესმით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის, გარდაქმნის მძლავრი მამოძრავებლის, როლის მნიშვნელობა.

ამიტომ კომუნისტების, მშრომელთა ფართო მასების სამართლიან შეშფოთებას იწვევს ის, რომ გარდაქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში ჩამორჩება საზოგადოებაში დაწყებულ პროცესებს. ყველასათვის ცხადია, რომ ამაში არაფერი არ არის კარგი — არც თვით პარტიისათვის, არც საზოგადოებისათვის. განა ეს საქმეა, როცა დროულად არ ანალიზდება, გააზრების სტადიას არ გადის ახალი მოვლენები? დააყოვნე, ღრმად ვერ გაერკვიე ახალი მოვლენის არსში — ელოდე შეცდომას რომელიღაც მიმართულებით. მაგრამ თუ ეს ერთი შეცდომა არ არის?..

მაშასადამე, ამხანაგებო, პარტია ღრმა საშინაო ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დგას. იმისათვის, რომ ეფექტიანად შეასრულოს პოლიტიკური ავანგარდის როლი, უზრუნველყოს საზოგადოების კოორდინაცია, კონსოლიდაცია გარდაქმნის ამოცანებისა და მიზნების გარშემო, პარტია სწრაფად უნდა გარდაიქმნას. საქმე ეხება ქვეყნის ბედისათვის კარდინალურ საკითხს — იმას, რომ პარტიის მთელი საქმიანობა შევუსაბამოთ საზოგადოებაში შექმნილ ვითარებას.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მოქმედებს და უნდა იმოქმედოს კონსტიტუციის ფარგლებში. და საერთოდ თუ ვიტყვით, სულაც არ არის საჭირო რაღაც დამატებითი სამართლებრივი აქტების გამოცემა, რომლებიც ეხება პარტიის პრეროგატივებს. სხვა საქმეა, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადებისას შეიძლება, და კიდევაც უნდა მოხდეს მთელი რიგი იმ ფორმულირებების დაკონკრეტება, რომლებიც საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლს ეხება.

იმისათვის, რომ თავი გაართვას თავის პოლიტიკურ ამოცანებს, პარტია, როგორც პოლიტიკური, საზოგადოების გამაერთიანებელი ძალა, როგორც საზოგადოების განვითარების საპროგრამო მიზნების მატარებელი, გაბედულად უნდა თავისუფლდებოდეს ფუნქციებისაგან, რომლებიც მას არ ახასიათებს. იგი უნდა მოქმედებდეს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. და ამას ჩვენ პირდაპირ, გულახდილად, მოურიდებლად ვამბობთ. ამით დაინტერესებულია ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით ახლა, დიდი ცვლილებების ეტაპზე, იმ ეტაპზე, რომელსაც ახასიათებს დიდი სიახლე. პარტიის როლი არათუ არ მცირდება, შეუცვლელი ფაქტორიც ხდება საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაში.

პარტიამ, რომელიც ღრმა ცვლილებების პირობებში მოქმედებს, მიჯნავს ფუნქციებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს შორის, ახორციელებს ფართო ორგანიზატორულ, იდეოლოგიურ მუშაობას მასებში, ამუშავებს და ატარებს საკადრო პოლიტიკას, ამ შემთხვევაშიც უნდა იმოქმედოს დემოკრატიული პროცესების გათვალისწინებით. მხოლოდ ასეთი მიდგომის საფუძველზე შეძლებს იგი თავისი როლის შესრულებას.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, უნდა გარდავქმნათ მთელი პარტიის მუშაობა, და მთავარი ყურადღება დავუთმოთ პოლიტიკურ მეთოდებს.

ამბობენ, პარტია უნდა დავიცვათო. მოდით დავსვათ კითხვა: როგორ? პარტია თავის თავს დაიცავს, თუ განავითარებს თავის მძლავრ პოტენციალს, მოახდენს ორგანულ ინტეგრირებას საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს განახლების პროცესებში. და აქ მთავარია ვიპოვოთ ჩვენი ახალი ადგილი, შევცვალოთ მუშაობის ფორმები და მეთოდები. უდავოა, რომ პარტიის მთელი საქმიანობის ქვაკუთხედი უნდა გახდეს მშრომელებთან მჭიდრო კავშირი, რომელიც არც ერთი წუთით არ უნდა წყდებოდეს.

და კიდევ ერთი რამ. როგორ შეიძლება მოველოდეთ, რომ პარტია შეასრულებს თავის როლს, თუ პარტიულ ორგანიზაციებში გამეფებულია საშინელი მოწყენილობა, განიხილავენ საკითხებს, რომლებიც წინასწარ განწირავს ადამიანებს კრების აუღელვებელი მთვლემარე საათებისათვის? განა ამ მიზეზით არ არის, რომ ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს მოედნებზე და მიტინგებზე განიხილავენ. როგორ ხდება ეს, განა ასე მუშაობა შეიძლება?

ერთი შეხედვით, ძნელად მოსანელებელია ასეთი მიტინგების თემები, მაგრამ რაკი ხალხს აინტერესებს, მაშასადამე, ეს უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების დისკუსიების საგანი. კომუნისტები მოვალენი არიან არა მარტო ხედავდნენ მოვლენათა სიახლეს, არამედ უკეთ ერკვეოდნენ მათში. მხოლოდ მაშინ, თუ შეიარაღებული არიან პროცესების გაგებით, სწორედ განმარტავენ მათ, წიგნიერად იცავენ პარტიის პოზიციას, შეუძლიათ მათ მონაწილეობა მიიღონ ყოველგვარ დისკუსიაში. განა არ უნდა შეგვაშფოთოს იმან, რაზეც ლაპარაკობდნენ პლენუმის მონაწილენი: მოედანზე დუღს ვნებები, მრავალ პარტორგანიზაციაში კი სიჩუმეა. დაუყოვნებლივ უნდა ავაფეთქოთ, ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს სიჩუმე, ეს საშიში სიჩუმე! პირი უნდა ვქნათ ცხოვრებისაკენ, ჩავებათ ამ ცხოვრებაში. ვისაც ეს არ ძალუძს, ვისაც არ შეუძლია იპოვოს თავისი ადგილი, წავიდეს. ჩვენ უწინარესად უნდა ვიფიქროთ პარტიაზე, გარდაქმნაზე, სოციალიზმზე.

არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ პარტიის დახასიათებამ — „მმართველი, ავანგარდული" შექმნა ილუზია, თითქოს პარტიის ხელმძღვანელი როლი და ავტორიტეტი ავტომატურად იქნება უზრუნველყოფილი ერთხელ და სამუდამოდ. ამხანაგებო, ამას თავი უნდა დავაღწიოთ.

დარწმუნებული ვარ, პარტიის საქმიანობის შესახებ კრიტიკული მსჯელობების სათავეები ის არის, რომ ამ ბოლო ხანს დაისახა მისი ჩამორჩენა განახლების პროცესებისაგან, ქვეყანაში პოლიტიკური ძალების აქტიურობის ზრდისაგან. არაფრით არ შეიძლება გავამართლოთ მრავალი პარტიული კომიტეტის, იმ დიდი პარტორგანიზაციების უსუსურობა, რომელთა განკარგულებაშია შენობებიც, კადრებიც, გაზეთებიც და ბევრი სხვა რამ ახლანდელ უჩვეულო სიტუაციის პირობებში. ამას კარგად უნდა ჩავუფიქრდეთ.

რატომ ხდება ასე? ამას ასე ვუპასუხებ: ჩვენ ყველანი უნდა დავეუფლოთ პოლიტიკური ბრძოლის ხელოვნებას, ხალხში მუშაობის პოლიტიკურ მეთოდებს.

პარტიის საქმიანობა ახლანდელ პირობებში მოითხოვს მთელი რიგი დიდი საკითხების განხილვას. და ისინი, როგორც უკვე ვთქვი, უახლოეს ხანს გახდება დისკუსიის საგანი უფრო ვრცლად მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო, საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. მოგვიანებით შევკრებთ საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს. ეს პარტიის ის რგოლია, რომელსაც ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი მოქმედებს იქ, სადაც პარტიის პოლიტიკა რეალურ ცხოვრებად იქცევა. ასეთი შეხვედრები უაღრესად საჭიროა ახლა.

მაგრამ უკვე დღეს, იმათ პასუხად, ვინც ამტკიცებს, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა აუფასურებს პარტიის როლს, ვიტყვი: ეს შეცდომაა. არა, პარტია თავს არ არიდებს ხელმძღვანელ როლს. მას არც შეუძლია მისცეს თავს ამის ნება. პარტიამ კარგად უნდა აითვისოს თავისი პოლიტიკური ავანგარდის მისიის რეალიზაციის ახალი ფორმები.

საზოგადოებას სჭირდება, რომ პარტიამ დროულად, მაღალ თეორიულ და პოლიტიკურ დონეზე უზრუნველყოს საზოგადოებრივი განვითარების თეორიისა და სტრატეგიის შემუშავება. უზრუნველყოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავება, სოციალისტური განახლების იდეოლოგიის ფორმირება, განახორციელოს პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში, შეიმუშაოს და განახორციელოს ეფექტიანი საკადრო პოლიტიკა გაშლილი სოციალისტური დემოკრატიის პირობებში, საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით.

ეს კიდევ უფრო მეტ აქტუალურობასა და მნიშვნელობას იძენს რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. თუ არ გადავწყვეტთ მრავალ ამ საკითხს პარტიაში, გაგვიჭირდება თავი გავართვათ ამოცანებს, რომლებიც უნდა შევასრულოთ პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპზე. დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სწრაფმდინარია, სიტუაცია საზოგადოებაში სწრაფად იცვლება. ეს პარტიისაგან ეფექტიან მუშაობას მოითხოვს.

დასასრულ მინდა გისურვოთ თქვენ, ამხანაგებო, რომ ლენინგრადის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც გამოიტანს გაკვეთილებს წარსული გამოცდილებიდან — პოზიტიურსაც და ნეგატიურსაც, გარდაიქმნება და განახლდება გარდაქმნის გარდამტეხი ეტაპის მოთხოვნების შესაბამისად, დაძლიოს გარკვეული სისუსტე თავის საქმიანობაში და უზრუნველყოს ეფექტიანი მუშაობა მასებში. გისურვებთ წარმატებით გადაგეწყვიტოთ ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ძალზე პასუხსაგებ მიჯნაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

12 ივლისს მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, მუშაობა განაგრძო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

პალატების გაერთიანებული სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარემ **ა. ი. ლუკიანოვმა.** მან წაიკითხა წერილი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს გამოუგზავნა ჯარისკაცთა და მატროსთა დედების კომიტეტმა. ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია დიდ მადლობას იხდის სტუდენტ სამხედრო მოსამსახურეთა თადარიგში დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის. თავისი გადაწყვეტილებით, ხაზგასმულია წერილში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახალმა შემადგენლობამ დაადასტურა ქმედითი ზრუნვა ახალგაზრდა თაობისათვის, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალისათვის. შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, წერენ ჯარისკაცთა და მატროსთა დედები, რომ 175 ათასი მომავალი სპეციალისტი შეემატება გარდაქმნის ენთუზიასტთა რიგებს. შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებთ ჩვენს სახალხო დეპუტატებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ჯარისკაცთა და მატროსთა დედების კომიტეტმა დეპუტატებს გამოუგზავნა მშვენიერი ვარდების ორი უზარმაზარი თაიგული. ყვავილები გადაეცემათ დეპუტატ ქალებს.

თავმჯდომარის ცნობას ტაშით შეხვდნენ.

დეპუტატებმა განაგრძეს ი. ა. იზრაელის კანდიდატურის განხილვა, რომელიც დასახელებულია სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე.

დეპუტატთა მრავალრიცხოვან კითხვებზე უპასუხა **ი. ა. იზრაელმა.**

განსახილველ საკითხზე გამართულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ს. მ. რიაბჩენკო, მ. ჩ. ზალიხანოვი, ი. თ. კაზნინი, ვ. ი. სემუხა, ე. ნ. აუელბეკოვი, გ. ი. ფილშინი, ა. ვ. იაბლონოვი, ვ. ს. ვენგლოვსკაია, ს. თ. ახრომეევი, ვ. დ. რომანენკო, ვ. ს. შევჩენკო.**

კამათის დროს სერიოზული შეშფოთება გამოითქვა მწვავე ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისადმი უწყებრივი მიდგომის, გარემოს დაცვის ზუსტი და ყოვლისმომცველი პროგრამის უქონლობის გამო. აღინიშნა, რომ უნდა გავაძლიეროთ სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური აღჭურვა, უზრუნველვყოთ მისი საქმიანობის ფართო საჯაროობა. ორატორებმა მთელი რიგი პრეტენზიები წაუყენეს პირადად ი. ა. იზრაელსაც, რომელიც სათავეში უდგას ჰიდრომეტეოსამსახურს. კერძოდ, ცალკეულმა დეპუტატებმა ეჭვი შეიტანეს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ავარიის შედეგების ლიკვიდაციის დროს ი. ა. იზრაელის მოქმედების სისწორეში.

განსახილველ საკითხზე ზოგიერთი რამ განმარტა **ნ. ი. რიჟკოვმა.** მან აღნიშნა, რომ ჩერნობილის ავარიის ტრაგიკულ დღეებში, როცა მნიშვნელობა ჰქონდა ყოველ წუთს, აუცილებელი იყო წინადადებების სწრაფად, პასუხისმგებლურად და კვალიფიციურად მიღება. მაშინ საგანგებო სიტუაცია შეიქმნა. კერის ჩასაქრობად საჭირო გახდა უდიდესი ადამიანთა და მატერიალური რესურსები. საქმეში ჩაებნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეცნიერები, მათ შორის ი. ა. იზრაელიც. რომ არა ეს ადამიანები — ჩვენი მეცნიერების საუკეთესო ნაწილი — წარმატებით ვერ გავართმევდით თავს ტრაგედიის შედეგებს. ყველას მათ უნდა ვუთხრათ მადლობა.

ნ. ი. რიჟკოვი შეეხო აგრეთვე ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ავარიის შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ ზოგიერთ დღევანდელ ამოცანას. ყველა ეს ამოცანა, თქვა ორატორმა, მიზნად ისახავს ადამიანის კეთილდღეობას, მისი ჯანმრთელობის დაცვას.

თავმჯდომარე კითხულობს დეპუტატ ვ. გ. არძინბას ბარათს, რომელიც წინადადებას იძლევა სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო კომიტეტი გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უშუალო დაქვემდებარებაში.

გადაწყვეტილია დეპუტატის წინადადება განსახილველად გაეგზავნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა კომიტეტს.

სსრ კავშირის მთავრობის წევრის პოსტის პრეტენდენტის კანდიდატურას კენჭს უყრიან. ხმის უმრავლესობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ი. ა. იზრაელს ნიშნავს სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასამტკიცებლად დაასახელეს ვ. მ. სეროვი.

ვ. მ. სეროვს ეთმობა ტრიბუნა სსრ კავშირის სახმშენის მომავალი საქმიანობის კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად და დეპუტატთა კითხვებზე პასუხის გასაცემად.

მთავრობის წევრობის კანდიდატმა დამსწრეთ შეახსენა ცვლილებანი ქვეყნის სამშენებლო კომპლექსის სტრუქტურაში, სსრ კავშირის სახმშენის ახალი ფუნქციები. ამასთან, მან აღნიშნა, რომ კრიზისული სიტუაციით კაპიტალურ მშენებლობაში არსებული მდგომარეობა ჰგავს იმას, სოფლის მეურნეობაში რომ შეიქმნა.

შეეხო რა კონკრეტულ წინადადებებს, სსრ კავშირის სახმშენის ხელმძღვანელის პოსტის პრეტენდენტმა მკაცრად გაილაშქრა წინააღმდეგობრივი ექსპრომტული გადაწყვეტილებებისა და მოქმედების წინააღმდეგ. მისი აზრით, ბოლოს და ბოლოს, უნდა ვიცხოვროთ შეწონასწორებული გეგმის ფარგლებში. მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ ბანკის კრედიტებს, შემოვიღოთ ანგარიშსწორება მხოლოდ მზა სამშენებლო პროდუქციისათვის, გადავაქციოთ ხელშეკრულება მშენებლობის ყველა მონაწილის თანამოქმედების საფუძვლად, შევიმუშაოთ სამშენებლო პროდუქციის ბაზრის პროგრამა.

პრეტენდენტის აზრით, სახმშენის უპირველესი მიზანი უნდა გახდეს სამშენებლო წარმოების ყველა რგოლში შემოქმედებითი თავისუფლების უზრუნველყოფა, დარგის ნამდვილ სამეცნიერო-ტექნიკურ შტაბად კომიტეტის გადაქცევა. ორატორმა მხარი დაუჭირა აგრეთვე თვისებრივად ახალ დამოკიდებულებას სასოფლო მშენებლობისადმი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გარდაქმნას, დარგში სამეურნეო რეფორმის უსწრაფეს რეალიზაციას, მშენებლის პრესტიჟისა და პროფესიონალიზმის აღორძინებას.

სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარის პოსტის პრეტენდენტის კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **გ. ნ. ლიტვინცევა, ა. დ. დიხტიარი, ა. პ. კუდრიავცევი, ი. ტ. კომაროვი, ა. ვ. კოპილოვა, დ. ო. სკულმე და ნ. მ. მანკო.** აღიძრა მშენებლობის ხარისხის, საბინაო პრობლემის გადაჭრის, ქალაქთმშენებლობის, მთლიანად არქიტექტურის პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომის საკითხები. დეპუტატებმა მთავრობის წევრობის კანდიდატის ყურადღება მიაპყრეს მშენებლობის სფეროში არსებულ მწვავე, გადაუწყვეტელ ამოცანებს.

ვ. მ. სეროვი ინიშნება სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარედ.

სესიის განსახილველად შემოაქვთ საკითხი, რომ ვ. ი. შჩერბაკოვი დაინიშნოს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

ვ. ი. შჩერბაკოვი ადის ტრიბუნაზე, რათა გააკეთოს მოკლე ინფორმაცია კომიტეტის კომპეტენციის სფეროს და გარდაქმნის პირობებში მისი ახალი ფუნქციების შესახებ.

კომიტეტმა, თქვა მან, უნდა იპოვოს თავისი ადგილი ახალ სიტუაციაში და იკისროს ახალი ფუნქციები მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც არსებითად მთელი მოსახლეობის ინტერესებს ეხება.

უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შორის, რომლებიც უნდა გადაიჭრას, ორატორმა დაასახელა მოსახლეობის, მუშახელის გამრავლება, ურთიერთობა განაწილებისა და შრომის შეფასების სფეროში. საქმე ეხება მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს, ჩვენს საზოგადოებაში ადამიანის სოციალურ დაცულობას. საჭიროა ერთიანი კომპლექსური პროგრამა ამ მიმართულებით. მრავალი დიდმნიშვნელოვანი ნამუშევარი, კერძოდ, ოჯახის, ქალთა მდგომარეობის, მოსახლეობის დასაქმების, შრომის ეფექტიანობის, სოციალური შეღავათების საკითხებზე ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს.

კანდიდატმა უპასუხა დეპუტატთა მრავალრიცხოვან კითხვებს.

განსახილველ საკითხზე შენიშვნებისა და წინადადებებისათვის სიტყვა ითხოვეს დეპუტატებმა **ა. ა. პავლოვმა, ვ. ა. ბოროვკოვმა, ი. კოჯახმეტოვმა, ვ. ი. სტადნიკმა, ვ. ი. მატვიენკომ, ი. ი. ზახლავსკიმ, ი. ბ. აკბაროვმა, ლ. ტ. მატიიკომ, ნ. პ. კირიაკმა.**

აღინიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქალაქში და სოფლად წარმოებაში შრომის პირობებს, ქალთა და ბავშვთა სოციალური ინტერესების დაცვას, საპენსიო უზრუნველყოფის სრულყოფის, მოსახლეობის დასაქმების ორგანიზაციის საკითხებს, სოციალურ პრობლემათა გადაჭრისადმი ყველა დარგისა და უწყების საქმიანობის კოორდინაციას.

მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაინიშნოს ვ. ი. შჩერბაკოვი სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე რეკომენდაცია ეძლევა ვ. ნ. კირიჩენკოს.

უწყების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასახელებულ კანდიდატს უთმობენ ტრიბუნას. **ვ. ნ. კირიჩენკომ** ილაპარაკა სტატისტიკის საქმის სრულყოფის შესახებ და ჩამოაყალიბა უწყების წინაშე მდგომი ამოცანები. კერძოდ, მან საჭიროდ ცნო უზრუნველყონ მიწოდებული ინფორმაციის უტყუარობა, საიმედოობა, სრული სიმართლე, აღუდგინონ სტატისტიკას ნდობა საბჭოთა და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. მისი აზრით, დროა, გაძლიერდეს სტატისტიკის ანალიზური ფუნქციები, გამოიტანონ მიღებული მონაცემებიდან პროგნოზური დასკვნები შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციების გამო, განვითარების შესაძლო კრიზისულ წერტილებთან დაკავშირებით. დარგის ხელმძღვანელის პოსტზე დასახელებული პრეტენდენტის აზრით აქტუალურია საჯაროობის შემდგომი გაფართოება სტატისტიკური ორგანოების საქმიანობაში. მას გადაუდებლად მიაჩნია აგრეთვე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიის თანამიმდევრული ათვისება გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების ბაზაზე.

ამ მიმართულებათაგან თითოეულის რეალიზაცია გულისხმობს სამუშაოთა მნიშვნელოვან მოცულობას, დასძინა ორატორმა. მისი აზრით, ამ საქმეში დაგვეხმარება უკვე შეძენილი გამოცდილება, მთავრობის გადაწყვეტილებანი ჩვენს ქვეყანაში სტატისტიკის ძირეული გაუმჯობესების შესახებ. გარდაქმნის საქმეში ვ. ნ. კირიჩენკო განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს აკადემიური, საუნივერსიტეტო და დარგობრივი მეცნიერების ხელშეწყობაზე. იგი გულისხმობს აგრეთვე სტატსახკომის მომავალ საქმიანობაში უფრო აქტიურად გამოიყენონ განვითარებული საზღვარგარეთული ქვეყნების ანალოგიურ დაწესებულებათა მიღწევები, სტანდარტები, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში მოქმედებს, [illegible] რეგულარულ ანგარიშგებასთან ერთად სტატისტიკური დაკვირვების სხვა ფორმებს — ერთდროული აღრიცხვა, აღწერა, გამოკვლევები. მან უპირველესი უწოდა იმ ამოცანას, რომ გაუმჯობესდეს ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გადამუშავების ტექნიკური ბაზა.

სტატისტიკის საკითხებზე თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები გამოთქვეს დეპუტატებმა **ნ. ვ. ფედოროვმა, ვ. ს. ადვაძემ** და სხვებმა.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ სახალხო მეურნეობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პოზიციის მიხედვით არ გაგვაჩნია უტყუარი სტატისტიკური მონაცემები, თქვეს, რომ სტატსახკომი არ უთმობს საკმარის ყურადღებას ომისა და შრომის ვეტერანთა პრობლემებსა და საჭიროებებს.

ხმის უმრავლესობით ვ. ნ. კირიჩენკო დამტკიცდა სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

დეპუტატებს წინადადება ეძლევათ განიხილონ გ. ა. იაგოდინის კანდიდატურა, რომელსაც რეკომენდაცია ეძლევა სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე.

ტრიბუნაზეა **გ. ა. იაგოდინი.** მხოლოდ ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ინტენსიური ზრდას შეუძლია, თქვა მან, გამოიყვანოს ჩვენი ქვეყანა იმ რთული მდგომარეობიდან, რომელშიც იგი აღმოჩნდა. ამ ცოტა ხნის წინ სამი საკავშირო სამინისტროს ბაზაზე შექმნილი სახელმწიფო კომიტეტი თავისი პოლიტიკის განსაზღვრაში ხელმძღვანელობს განათლების პრიორიტეტით, იმით, რომ საზოგადოების პროგრესი, გარდაქმნის წარმატება დამოკიდებულია ყოველი ადამიანის განათლებაზე, ზნეობასა და პროფესიონალიზმზე.

საზოგადოების განვითარების პროცესში ცოდნის კულტი ესაჭიროება. მაგრამ, აღნიშნა ორატორმა, ჩვენში დაბალია განათლებისა და პროფესიონალიზმის სოციალური სტატუსი, გულს მოგვკლავს მრავალი სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის სილატაკე, საკმაოდ მაღალი არ არის მასწავლებელთა მომზადების დონე. დამაფიქრებელია სკოლის განზე გადგომა ეროვნული კულტურისაგან, საგანმანათლებლო პროგრამების უნიფიკაცია. კომიტეტი თავის საქმიანობას შეუდგა ზოგადი საშუალო განათლების კონცეფციის, სკოლის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების დებულების შემუშავებით. სახალხო განათლების გარდაქმნას საფუძვლად დაედო ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის პრინციპები. მთავარი მიზანი უნდა გახდეს ადამიანის შესაძლებლობათა რეალიზაცია, პიროვნების სულიერი სიმდიდრის წარმოჩენა.

სკოლის გარდაქმნა მოითხოვს გადაისინჯოს სასწავლო გეგმები, შემოვიღოთ დიფერენცირებული განათლება უნარის შესაბამისად, მოვამზადოთ სახელმძღვანელოები ალტერნატიულ საფუძველზე. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს სკოლის არჩევის უფლება. პრეტენდენტს შესაძლებლად მიაჩნია გაუქმდეს შეფასება სკოლაში ყოფაქცევისათვის, გაუქმდეს დაწყებითი სამხედრო მომზადება გოგონებისათვის, შეიქმნას ფსიქოლოგიური სამსახური სკოლებში. უაღრესად საჭიროა გადაისინჯოს დამოკიდებულება შრომითი სწავლებისადმი, რომელიც არ უნდა იყოს იძულებითი ან გამომთაყვანებელი.

გ. ა. იაგოდინმა თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა სასწავლებელთა ეკონომიკურ მდგომარეობას და ხაზი გაუსვა, რომ განათლების ხარჯების წილი უნდა გაიზარდოს. საჭიროა ამაღლდეს პედაგოგის ავტორიტეტი, შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება მისდამი. კანდიდატმა გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ როგორც ყრილობაზე გამოვლინდა, სახალხო დეპუტატები უყურადღებობას იჩენენ სახალხო განათლების მიმართ.

შემდეგ სახალხო განათლების პრობლემათა გამო გაიმართა გაცხოველებული დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები **გ. ხ. სტეპანოვა, შ. ა. ამონაშვილი, ვ. ა. პლუტინსკი** და **ა. ი. დემიდოვი.**

დეპუტატთა გამოსვლებში გაისმა კრიტიკა კომიტეტის თავმჯდომარეობის პრეტენდენტის მიმართ. ზოგიერთი ორატორის აზრით, იგი ერთობ ოპტიმისტურად უყურებს სკოლის ურთულეს პრობლემებს. გამოსულმა ამხანაგებმა ყურადღება მიაპყრეს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დაბალ მაჩვენებლებს, ბევრი სასკოლო შენობის, მეტადრე სოფლის სკოლების სავალალო მდგომარეობას, სასწავლებელთა სუსტ ტექნიკურ აღჭურვას.

საღამოს სხდომის დრო იწურება. სესიამ გაითვალისწინა, რომ განსახილველ საკითხზე ბევრ დეპუტატს სურს გამოსვლა, და მიიღო გადაწყვეტილება შემდეგ სხდომაზე განაგრძოს კამათი გ. ა. იაგოდინის კანდიდატურის გამო.

ამით პალატების გაერთიანებული სხდომა დახურულად ცხადდება.

შემდეგ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სხდომა. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალების შესაბამისად პალატამ დაამტკიცა სამი კომისიის შემადგენლობა. ესენია მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის პრობლემათა, ყირიმელი თათრების მოსახლეობის პრობლემათა და საბჭოთა გერმანელების პრობლემათა კომისიები.

13 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მუშაობას განაგრძობდა.

(საქდესი).

ვიყოთ საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების ავანგარდში

(დასასრული)

რეკომენდებულია ყველა პარტორგანიზაციაში განაგრძონ საწესდებო მოვალეობებისა და ცალკეული დავალებების შესრულების შესახებ ღია პარტიულ კრებებზე კომუნისტთა ანგარიშების პერიოდული მოსმენის პრაქტიკა, ამასთან რაოდენობრივი მოცვის მაჩვენებლებმა კი არ უნდა გაგვიტაცოს, არამედ მთავარი უნდა იყოს აღმზრდელობითი მნიშვნელობა, საქმის, პარტიული დისციპლინის განმტკიცების, პასუხისმგებლობის ზრდისა და პარტიის წევრის წოდების ავტორიტეტის ამაღლების ინტერესები.

კომუნისტებთან მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ იმით, რომ პარტიული კომიტეტების არც ერთი წამოწყება, არც ერთი აქცია არ შეიძლება განხორციელდეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენის — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გაკვეთილების გაუთვალისწინებლად, პრაქტიკულ საქმეებად მისი გადაწყვეტილებების კონკრეტული რეალიზაციის გარეშე, იმის ღრმა შეგნების გარეშე, რომ პარტიელებისათვის ახლა არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი, ვიდრე შეუპოვრად და გულმოდგინედ აითვისონ საბჭოთა სახალხო ხელისუფლების ძნელი სკოლა, მთელი თავიანთი ინტელექტუალური პოტენციალი, ენერგია, შეკავშირება მოახმარონ სოციალიზმის განახლების ამოცანის შესრულებას.

რესპუბლიკისა და მისი რეგიონების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წინადადება მიეცათ აღადგინონ ამ ბოლო დროს დაკარგული პოზიციები პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის, ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის გაშუქებასა და პროპაგანდაში. გადასინჯონ რედაქციების მუშაობის გეგმები იმ გადაცემებისა და პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდისა და შინაარსის გაუმჯობესების მიზნით, რომლებიც გვიჩვენებენ ახლანდელ პირობებში პარტიული მუშაობის არსსა და მიმართულებას, ამაში არსებულ პოზიტიურ გამოცდილებას, კომუნისტთა მოქმედებასა და ძალისხმევას პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, მათს პირად წვლილს ადამიანთა აღზრდის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში მათი სწორი მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების საქმეში. კომუნისტები, რომლებიც სათავეში უდგანან მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს, და მათი პარტიული ორგანიზაციები, პირველ ყოვლისა, უნდა იძლეოდნენ მაღალი პარტიული პრინციპულობისა და საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების უდიდესი შესაძლებლობების გამოყენებისათვის დიდი პასუხისმგებლობის მაგალითს. (საქინფორმი).

მთიანი ყარაბაღის ამბების გამო

სტეფანაკერტი, 13 ივლისი (საკდესის კორ.). მთიან ყარაბაღში კვლავ რთული ვითარებაა. განვლილი დღე-ღამე აღინიშნა სანადირო თოფების პროვოკაციული სროლით მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში, რასაც უპასუხისმგებლო პირებმა მიმართეს დაძაბულობის გამწვავებისათვის, მეორე მხარის თავდასხმის წინაშე მზარდი შიშის ატმოსფეროს შექმნისათვის. სროლის შედეგად დაჭრილები აღრიცხული არ არის, მაგრამ საქმე მარტო მორალური ტერორით როდი შემოიფარგლება. ოლქში მოხდა მთელი რიგი სერიოზული დანაშაულობანი, რომლებსაც ნაციონალისტური ელფერი აქვს.

გუშინ მარდაკერტის რაიონში იპოვეს სომხის გვამი, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღით მოუკლავთ. ასკერანის რაიონში მოთარეშე ბრბომ დაარბია სამეურნეო მაღაზია და სტეფანაკერტის აეროპორტის სადისპეტჩერო სადგური. ქალაქ შუშაში აზერბაიჯანელთა ჯგუფმა დაარბია სომეხთა ბინა და სცემა ოჯახის მეთაურს, რომელიც ჰოსპიტალიზებულია. ამ და სხვა ფაქტებს იძიებენ.

განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა ოლქის გზებზე. იმის მიუხედავად, რომ აქ პატრულობენ შინაგანი ჯარების რაზმები, მოხულიგნე ელემენტების ჯგუფებმა დღის განმავლობაში არაერთგზის სცადეს სხვადასხვა მონაკვეთი ჩაეხერგათ და დაებრკოლებინათ ტრანსპორტის მოძრაობა. შეწყვეტილია საავტობუსო მიმოსვლა სტეფანაკერტსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს შორის. არსებითად ბლოკირებულია ავტონომიურ ოლქში საავტომობილო ტრანსპორტის შესვლა. სტეფანაკერტსა და მარდაკერტის რაიონს შორის დაირღვა სატელეფონო კავშირი. შეშფოთებას იწვევს გახშირებული პროვოკაციული მოქმედება, რომელიც მიმართულია შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეებისა და მილიციის წინააღმდეგ, განსაკუთრებულ რაიონში სამსახურს რომ ეწევიან ეროვნებათშორისი შეტაკებების თავიდან ასაცილებლად. წუხელ ცეცხლი დაუშინეს საკონტროლო-გამშვებ პუნქტს ასკერანის რაიონში. გუშინ, როცა საბუთებს უმოწმებდნენ უნომრო სატვირთო ავტომანქანის მძღოლს, უცნობმა პირებმა ამ მანქანის ძარიდან ცეცხლი დაუშინეს მილიციის ოპერჯგუფს.

ოლქში ვითარების დაზუსტებისა და მართლწესრიგის დაცვის ძალების მოქმედების კოორდინაციისათვის სტეფანაკერტში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლისაუსკასი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა შინაგანი ჯარების უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ვ. შატალინი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მთავარი სამმართველოს უფროსი ბ. ა. კორიაკოვცევი.

ემოციების ამ მოზღვავების დროს ცდილობენ ჩაშალონ მთიან ყარაბაღში ჩამოსულ გეოდეზისტთა და მაძიებელთა მუშაობა, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი ვადებით გადასწიოს ავტონომიური ოლქის სამშენებლო პროგრამის რეალიზაცია.

ეჭვს არ იწვევს, რომ სიტუაციის ახლანდელი გამწვავება ხელს აძლევს იმათ, ვინც ცდილობს ჩაშალოს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საკითხის დემოკრატიული კონსტიტუციური განხილვა და მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს მთიანი ყარაბაღის საკითხთა კომისიის მუშაობას, რომელიც შექმნა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალებით.

განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტი, რაიონის განსაკუთრებული სარდლობა ყოველ ღონეს ხმარობენ ვითარების სტაბილიზაციისათვის. ა. ი. ვოლსკის თავმჯდომარეობით გამართულ შტაბის სხდომაზე განისაზღვრეს ხულიგნური მოქმედებისა და ეროვნებათშორისი მტრობის გამოვლინებების აღკვეთის, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებანი.

აბიტურიენტი—89:

სიმწიფის გამოცდა

18 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის შეხვედრა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან და პარტიული კომიტეტების მდივნებთან, რომელიც მიეძღვნა უმაღლეს სასწავლებლებში მომავალ მისაღებ გამოცდებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გურამ ენუქიძე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნოდარ ამაღლობელი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი გოჩა ჩოგოვაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი არჩილ ძათიანი, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი გოგოთურ აღლაძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ოთარ ნათიშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი თენგიზ ფერაძე, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ვლადიმერ გაგუა, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორი ელგუჯა მაღრაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი თეიმურაზ ხუროძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ილია ჭანუყვაძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ივანო ქელბაქიანი, უცხო ენათა ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ელდარ ჭკადუა, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორი ომარ გოგიაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნათელა ლაღიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე ვაჟა ლორთქიფანიძე.

ახლანდელმა მისაღებმა გამოცდებმა, ითქვა შეხვედრაზე, უნდა განსაზღვროს მომავალი სტუდენტების არა მარტო ცოდნის სიღრმე, არამედ მათი მოქალაქეობრივი სიმწიფის დონეც. ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ გამოცდებმა ჩაიაროს ობიექტურად, სოციალური სამართლიანობის პრინციპით. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, ყველაზე უფრო მომზადებული ქალიშვილები და ჭაბუკები გახდნენ სტუდენტის ბილეთის მფლობელნი, რათა შეძლონ იმ დიდი და სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც დღეს და პერსპექტივაში დგას რესპუბლიკის, მისი მშრომელების წინაშე.

აღინიშნა სიახლეები, რომლებიც მიმდინარე წელს შეიტანეს ამ პასუხსაგებ კამპანიაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ იგი ამჟამად მიმდინარეობს გარდაქმნისა და განახლების, უმაღლესი სკოლის რადიკალური რეფორმის მოთხოვნებით ნაკარნახევ თვისებრივად ახალ დონეზე. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ფაქტობრივად უნდა გახდეს იმის სარკე, თუ როგორია ჩვენთან ახლა დემოკრატიის რეალური დონე, საჯაროობის ფორმები და მეთოდები, როგორ მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესი. ყველა ორატორი გამოთქვამდა ერთიან აზრს, რომ გამოცდებმა უნდა განუმტკიცოს თითოეულ აბიტურიენტს ობიექტურობისა და სამართლიანობის რწმენა, მიუხედავად იმისა, გავიდა იგი კონკურსში თუ არა. სწორედ ეს უნდა გახდეს კამპანიის ძირითადი სოციალური შედეგი.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქმით ცხადვყოთ მიღების ისეთი სისტემა, რომელიც მთლიანად გამორიცხავს არა მარტო კორუფციას, არაობიექტურობას, არამედ პროტექციონიზმის უმცირეს გამოვლინებასაც კი. აქ ძალზე საჭიროა გავითვალისწინოთ წარსულის გაკვეთილები, მივაღწიოთ ფართო საჯაროობას მისაღები გამოცდების ყველა ეტაპზე. განსაკუთრებული როლი განეკუთვნებათ უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა პარტიული კომიტეტების მდივნების პერსონალური პასუხისმგებლობა, რომლებმაც უნდა იმუშაონ მიმღები კომისიების თავმჯდომარეებთან და რექტორატებთან მჭიდრო კონტაქტით, მიაღწიონ იმას, რომ საგნობრივი და საპრეტენზიო კომისიები დაკომპლექტებული იყოს ყველაზე კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური, პრინციპული და კრისტალურად პატიოსანი სპეციალისტებით. მისაღები გამოცდების დროს წამოჭრილი არც ერთი საკითხი არ უნდა დარჩეს ამომწურავი პასუხის გაუცემლად.

იმაზე, თუ რამდენად ხარისხოვნად შესრულდება ეს დიდი და ძალზე ძნელი სამუშაო, ბევრად არის დამოკიდებული, რამდენად ღირსეული შევსება მოვა უმაღლეს სასწავლებლებში და როგორი წარმატებით განაგრძობს იგი ჩვენი ცხოვრების გარდაქმნისა და განახლების საქმეს, როგორი პასუხისმგებლობით ვეკიდებით იმ პროცესებს, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს რესპუბლიკაში.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „მოქალაქეთა გაერთიანებების შესახებ" კანონის მიღებამდე დამტკიცდეს მოქალაქეთა ინიციატივით შექმნილი საზოგადოებების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათი კავშირებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების (შემდგომში მოიხსენიება, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები) წესდებათა რეგისტრაციის შემდეგი წესი:

1) საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთ წესდებებს ამტკიცებენ დამფუძნებელ კრებაზე, ყრილობასა ან კონფერენციაზე და წარადგენენ რეგისტრაციისათვის მათი მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში;

2) საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მოიცავს რესპუბლიკის ტერიტორიას, აგრეთვე ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მოიცავს ორი და მეტი რაიონის ან რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (ქალაქის რაიონის) ტერიტორიას, თავიანთ წესდებებს რეგისტრაციისათვის წარადგენენ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ან თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში, რომლებიც ახდენენ წესდებათა რეგისტრაციას.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა მოიცავს რესპუბლიკური დაქვემდებარების ერთი რაიონის, ქალაქის (ქალაქის რაიონის) ტერიტორიას, თავის წესდებას წარადგენს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომში;

3) წესდება რეგისტრაციისათვის გადაიცემა ორ ეგზემპლარად საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარის ხელმოწერით. წესდებას თან ერთვის დამფუძნებელი კრების, ყრილობის ან კონფერენციის ოქმის ასლი;

4) წესდება უნდა ითვალისწინებდეს:

— ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს;

წევრად მიღებისა და წევრობიდან გასვლის წესს;

წევრების (საზოგადოებრივი მოძრაობის მონაწილეების) უფლებებსა და მოვალეობებს;

ორგანიზაციის სტრუქტურას;

პირველადი ორგანიზაციების შექმნის წესს;

კონფერენციის ან საერთო კრების მოწვევის წესსა და მათს კომპეტენციას;

ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის წესსა და მათს კომპეტენციას;

ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების წესს;

სახსრების წყაროებსა და მათი გამოყენების წესს;

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესს;

საქმიანობის შეწყვეტის წესს.

წესდებებში შეიძლება გათვალისწინებულ იყოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის სხვა საკითხებიც.

5) ორგანო, რომელმაც რეგისტრაციაში უნდა გაატაროს წესდება, განიხილავს მას მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში. წესდება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას. წესდების რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან აღმასრულებელი ორგანოს რწმუნებული პირი;

6) წესდების მარეგისტრირებელი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მისი რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზეც შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში წერილობით ეცნობება წესდების სარეგისტრაციოდ წარმდგენ ორგანიზაციას. წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ნორმატიული აქტი და მისი დებულება, რომლებსაც წარმოდგენილი წესდება ეწინააღმდეგება;

7) წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ შეიძლება გაასაჩივროს მისი მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

2. ბრძანებულების ძალაში შესვლამდე შექმნილი ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამ ბრძანებულების მოთხოვნათა შესაბამისად თავიანთ წესდებებს რეგისტრაციისათვის წარადგენენ ბრძანებულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

3. საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ თავის წესდებაში რეგისტრაციის შემდგომ შეტანილი ცვლილებები რეგისტრირებული უნდა იყოს ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული წესის მიხედვით, ხოლო თუ საზოგადოების ორგანიზაციამ გადაუხვია წესდებით დადგენილ მიზნებსა და ამოცანებს, ორგანოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რეგისტრაციის თაობაზე, შეუძლია გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილება საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ შეიძლება გაასაჩივროს ამ ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ეს ბრძანებულება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 6 ივლისი.

[illegible]
14 ივლისი

ისტორიული ნიშანსვეტი

გუშინ, 14 ივლისს საფრანგეთში საყოველთაო ზეიმის ვითარებაში აღინიშნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავი

1789 წლის 14 ივლისი საფრანგეთის ისტორიის ყველაზე ნათელი ფურცელია. ამ დღეს აჯანყებულმა ხალხმა შტურმით აიღო და საფუძვლიანად დაანგრია თვითმპყრობელობის, აბსოლუტიზმისა და ტირანიის სიმბოლო — ბასტილიის სამეფო ციხე. ეს ისტორიული შტურმი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაბამი გახდა.

განსხვავებული კლასობრივი ინტერესების მიუხედავად, ფეოდალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ ბურჟუაზია, გლეხობა და ქალაქელი პლებეები. ამ საერთო აზვირთებამ გამოხატულება პოვა 1789 წლის 26 აგვისტოს მიღებულ ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციაში, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის მანიფესტად იქცა. პირველად ისტორიაში დეკლარაციამ გამოაცხადა ადამიანის პიროვნების, სიტყვის, სინდისის თავისუფლების განუყოფელი უფლებები, მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე.

ბასტილიის შტურმის შემდეგ საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში მოვიდა მსხვილი ბურჟუაზია, რომელმაც, მეფისა და ფეოდალთა საკუთრების გაუქმებისა და გადანაწილების შემდეგ ძალიან მალე დაკარგა შემდგომი გარდაქმნებისადმი ინტერესი და „მესამე ფენის" რევოლუციური აღმავლობის ჩახშობა გადაწყვიტა. მაგრამ მოცემულ ისტორიულ მომენტში ამგვარმა „დამუხრუჭებამ" ხრული მარცხი განიცადა, რევოლუცია კი განაგრძობდა განვითარებას. სახალხო აჯანყების შედეგად ჯერ ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ჟირონდისტები, ხოლო შემდეგ ისინი იაკობინელებმა შეცვალეს, რომელთა დიქტატურის ხანმოკლე პერიოდი საფრანგეთის რევოლუციის უმაღლესი ეტაპი იყო.

იაკობინელთა რევოლუციური მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ რობესპიერი, დანტონი და მარატი, ხელისუფლების სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის ყველაზე მძიმე მომენტში. იაკობინელთა ენერგიული მოქმედების და ხალხის ფართო მასების მხარდაჭერის შედეგად შეძლეს მონარქიული ევროპის არმიების ინტერვენციის მოგერიება, საშინაო კონტრრევოლუციის დათრგუნვა და აგრარული საკითხის გადაწყვეტის დაწყება, მაგრამ მას შემდეგ, რაც მონარქიის რესტავრაციის საშიშროებამ განვლო, ბურჟუაზიამ მაინც მოახერხა ისტორიაში თერმიდორის გადატრიალების სახელით ცნობილი კონტრრევოლუციური აჯანყების მოწყობა, დაამხო იაკობინელები და დაიწყო კონტრრევოლუციური ტერორი. საფრანგეთის დიდი რევოლუცია — აჯანყებული ხალხის მიერ პოლიტიკური და სოციალური რეჟიმის შეგნებული, რევოლუციური შეცვლის პირველი მსოფლიო გამოცდილება, რობესპიერის სიკვდილით დასჯით დამთავრდა.

• • •

სურათებზე: ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია; ბასტილია — თვითმპყრობელობის, აბსოლუტიზმისა და ტირანიის სიმბოლო.



შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

14 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე შეხვდა არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ფავა ათოსს და მის მეუღლეს, რომლებიც დასასვენებლად არიან ჩამოსული ჩვენს ქვეყანაში.

გ. გუმბარიძემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ფავა ათოსი გვესტუმრა საქართველოში — და სურს გაეცნოს რესპუბლიკის ცხოვრებას, მისი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებას. გ. გუმბარიძემ წარმატება უსურვა არგენტინელ ხალხს, კომუნისტებს, მათს კეთილშობილურ საქმიანობაში სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების პროპაგანდისა და წინსვლის უზრუნველსაყოფად, აღნიშნა, რომ საქართველოს, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, კომუნისტები ხელს შეუწყობენ ამას კონკრეტული საქმეებით.

გენერალურ მდივანს დაწვრილებით გააცნეს რესპუბლიკაში მიმდინარე გარდაქმნა, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარ ღრმა ცვლილებებთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ გარდაქმნის წარმატებული მიმდინარეობის გადამწყვეტი პირობაა საზოგადოების თითოეული წევრის რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმა სოციალური გარდაქმნის პროცესებში, დემოკრატიისა და საჯაროობის განვითარება, პოლიტიკური სისტემის რეფორმის განხორციელება, რესპუბლიკის ხელმძღვანელებისა და ხალხის ღია დიალოგი, მუდმივი ყურადღება, გულისხმიერება და ტაქტი ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხთა გადაწყვეტაში.

ფავა ათოსმა გულითადი მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისა და იმ შესაძლებლობის მინიჭებისათვის, რომ უფრო ახლოს გაეცნოს საქართველოს, სამეურნეო მექანიზმის ახალ პროგრესულ ფორმებს, გარდაქმნის გამოცდილებას, ხაზი გაუსვა რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს არგენტინის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეგობრული პარტიათშორისი ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არგენტინის კომუნისტური პარტია მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებს, თქვა, რომ სულ უფრო იზრდება მიხეილ გორბაჩოვის პოპულარობა არგენტინელ ხალხში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

სტუმარმა გულითადი სალამი შეუთვალა საქართველოს მცხოვრებთ არგენტინელი კომუნისტებისაგან, რომლებიც ცხოველ ინტერესს იჩენენ მისი ცხოვრებისადმი. „ჩვენში უდიდესი პოპულარობა აქვთ მოხვეჭილი თქვენს მხატვრულ კოლექტივებს. ქართული სიმღერები და ცეკვები ჩემი ქვეყნის ყველა მცხოვრების გულწრფელ აღტაცებას იწვევს", — თქვა ფავა ათოსმა.

საუბარში მონაწილეობდნენ ამხანაგები ა. ი. პავშენცევი და ბ. ს. ჯიქია.

(საქინფორმი).

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო იტალიის „კობიფინის" ფირმის კომერციული დირექტორი ჯორჯიო კავანი. იგი საქართველოში იმისთვის ჩამოვიდა, რომ გამართოს წინასწარი მოლაპარაკება „ცეკავშირის" გამგეობასთან რესპუბლიკაში მთელი რიგი სამრეწველო და სასურსათო საქონლის გამოშვებისა და რეალიზაციის ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მთავრობა, ითქვა საუბრის დროს, ინტერესს იჩენს იმისადმი, რომ მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს იტალიის საქმიან წრეებთან. რესპუბლიკაში ურთიერთხელსაყრელი პირობებით საბჭოთა კავშირ-იტალიის კიდევ ერთი ერთობლივი საწარმოს შექმნა ახალ მძლავრ იმპულსს მისცემს საქართველოსა და იტალიის ეკონომიკურ და სავაჭრო კონტაქტებს. აღინიშნა თანამშრომლობის კარგი პერსპექტივები, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკაში სასურსათო პროდუქტების, ყავის, მინერალური და სხვა წყლების გასაყიდი ავტომატების ქსელის შექმნის, სოიის კულტურის მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების, ხელოვნური ქვის დამუშავების, სამკურნალწამლო მცენარეების მიღებისა და გამოყენების, გზატკეცილების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, აგრეთვე სხვა დარგებში.

ჯორჯიო კავანიმ თქვა, რომ იტალიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს საწარმოებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობისადმი. იტალიელი ხალხი,—თქვა მან,—გულისტკივილით გამოეხმაურა 9 აპრილს თბილისში მომხდარ ტრაგიკულ ამბებს და ღრმა სამძიმარს უცხადებს ქართველ ხალხს.

იტალიელმა ბიზნესმენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კმაყოფილია საქართველოში გამართული მოლაპარაკების შედეგებით, და განაცხადა, რომ „კობიფინის" ფირმა კარგი პარტნიორი იქნება ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაში.

საუბარში მონაწილეობდა „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარე რესან კონცელიძე.

(საქინფორმი).

პრობლემები და განსჯა

მადლობა და სამდურავი

ახლა ზაფხულია. ბუნება ხალისობს. თითქოს დავიწყებას მიეცა აჭარაში გასული ზამთარ-გაზაფხულის მეწყერთა სიბობოქრენი. ჩამონაქცევ, დახეთქილ-დაბზარულ მთებში ჯერჯერობით სიმშვიდეა. ამის დავიწყება კი არ იქნება. სწორედაც რომ უნდა გვახსოვდეს, რა უბედურება დაგვატყდა და რა შეიძლება დაგვემართოს შემოდგომის უამინდობებზეც, თუ ეს ზაფხულის დღეები დროულად, კარგად არ გამოვიყენეთ. ყველას ვალია მთის აჭარიდან მომავალ ხუთი ათასზე მეტ ოჯახს საქართველოს სხვადასხვა რაიონში საიმედო სამყოფელ-სამკვიდრებელის გამართვაში ერთად დავეხმაროთ.

ჩვენ ვგრძნობთ, როგორი გულისყურით უსმენს ხალხი ყოველ სიახლეს, რაც ბევრჭირგადანახადი აჭარის მშრომელთა ამ მღელვარე ამბებს შეეხება. მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ პრესა, ტელევიზია, რადიო, რომლებიც მართლაც თბილად, თანაგრძნობით და, შეშფოთებითაც, მსჯელობენ ბუდეაყრილ აჭარელთა ბედზე. გამოდიან ეროვნული ინტელიგენციის წარმომადგენლები. გვთავაზობენ ყოველნაირ დახმარებას: სახსრებით, ფიზიკური შრომით, ზოგჯერ (თუ ქალაქელია) საკუთარი სოფლის სახლკარის დათმობითაც. ყოველდღე რეკავენ საოლქო კომიტეტში, ჩვენს რაიონსა თუ სოფელში გარკვეული რაოდენობის ოჯახებს მივიღებთო, ჩამოაქვთ საკუთარი დანაზოგები სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად.

ამას წინათ ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხაში ვნახე, იქ ჩასახლებულ ჩვენებურებს ქართველ მეცნიერთა ჯგუფი როგორ ურიგებდა დახმარების სახსრებს. ამ ორიოდე დღის წინათ ჩვენთან რუსთაველი ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი ვაჟა ჟღენტი მოვიდა. ოთხი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი ჩამოსულიყო. 60 ათასი მანეთი შეეგროვებინათ და სურდათ აჭარელთა რამდენიმე ოჯახს ჯავახეთის მიწაზე დამკვიდრებაში დახმარებოდნენ. სურდათ წინასწარ გაეცნოთ ეს ოჯახები და მათი სახლების მშენებლობისთვისაც ბოლომდე ყურადღება მიექციათ.

ამ ცოტა ხნის წინათ აჭარის აგრომრეწვის მმართველ სულიკო ინაიშვილთან და პარტიის ქედის რაიკომის მდივან მიხეილ მახარაძესთან ერთად რაჭაში გავემგზავრე.

რაჭველები გვისაყვედურებდნენ, რატომ ჩვენთან არ გზავნით დაზარალებულ ოჯახებსო. ჩამოდით, განახებთ ადგილებს სასოფლეებად რომ გამოდგება და სიამოვნებით მივიღებთ ახალმოსახლეებსო.

ჩვენ ვიცით, როგორი ძმური გაგებით, გულითადობით მიიღეს ჩვენებური ოჯახები სამეგრელოს რაიონებში, ვანისა და ხონის სოფლებში, კახეთისა და ქართლის ბევრ ადგილებში და, ჩვენს ყველაზე ახლობელ მეზობელ, გურიაშიც.

მადლობა, დიდი მადლობა!

მაგრამ ძმა ღვიძლ ძმას, მადლობასთან ერთად, ზოგჯერ, თუ საქმე შეფერხდა, ხელის უფრო მარჯვე შეშველებასაც თხოვს. აბა, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, ძვირფასებო, შინაურებო, — ზაფხული ხელიდან გვეცლება, ჯავახეთის სოფლებში კი, სადაც ჩვენი ასობით ოჯახი თითქმის უბინაოდ არის, ჯერ მშენებლებს საძირკვლებიც არ გაუჭრიათ. სამშენებლო მასალები ადგილებზე ჯერაც არ მიუტანიათ. ამას ყველანი აშკარად ვხედავთ. ალბათ, საჭიროა სასწრაფოდ მოხერხდეს ისეთი დროებითი სადგომების გამართვა, ან მსუბუქი კონსტრუქციის (ვთქვათ, ფინური სახლების) ისეთი ნაგებობები მაინც მოესწროს, სადაც ჯავახური ზამთრის სასტიკ ყინვაში ჩვენი აჭარელი გლეხი თავს გაიტანს.

ზოგნი ამტკიცებენ, ახალქალაქ-ბოგდანოვკის ბუნება აჭარისას ჰგავსო. ეს რომ მთლად ასე არ არის, ყველამ ვიცით. საჭიროა სწორად განვუმარტოთ და გავაგებინოთ გლეხკაცს საქმის ვითარება. ამ დაპირებას, რა თქმა უნდა, აჭარელი გულით მიენდო. იგი მიდის იმედით. განა ამ დაპირების არშესრულება იქნება? უდავოდ სწორია, რომ დამეწყრილთა უმრავლესობა უძველეს და უნოყიერეს მესხეთ-ჯავახეთის მიწაზე დავამკვიდროთ და მალე ვიხილოთ აჭარა-მესხეთ-ჯავახეთის ერთიანი, გაუწყვეტელი ქართული ჯაჭვი: ამ ისტორიული ეროვნული მისიის შეგნებით მივდივართ ჯავახეთსო, მითხრა ამ დღეებში ერთმა ხულოელმა ახალგაზრდამ, მელაძემ, მალევე შევიტყვე რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქველმოქმედო ასოციაცია „ჯავახეთის" დაარსების შესახებ. ვიმედოვნებთ, ეს ახალი საზოგადოება დაუყოვნებლივ შეუდგება საქმეს და თავისაც გაართმევს მას.

მართალია, ჩვენ სადღეისო გაუდებელ გასაკეთებელზე ვმსჯელობთ ახლა, მაგრამ ამავე დროს არც სახვალიო უნდა გამოგვრჩეს.

ამ სამი ძველქართული მხარის გეოგრაფიული, ეკონომიკური, ეროვნული შედუღაბება-გამაგრებისათვის აუცილებელია გოდერძის უღელტეხილზე გვირაბის გაყვანაზეც ვიფიქროთ და არა მხოლოდ ვიფიქროთ. ალბათ საჭირო იქნება რესპუბლიკის მთავრობამ და სათანადო ორგანიზაციებმა დადებითად გადაწყვიტონ ეს საკითხი, რაც უთუოდ გააქტიურებს აჭარელთა სწრაფვას მესხეთ-ჯავახეთისაკენ.

ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ უყურადღებოდ უნდა მივატოვოთ სხვა რაიონებში ჩასასახლებელი აჭარლები. როგორ გინდა ახსნა ის ფაქტი, რომ თანხები დაგროვდა, დაზარალებულებამდე კი ვერ მიაღწია. ასეთი ოჯახი ცოტა როდია. ზოგს მზა სახლკარი უკვე აქვს, მაგრამ ვიდრე ადგილზე რამეს მოიწევს, ადამიანს სახსარი ხომ სჭირდება!

გარდა ამისა, ისეც ხდება, რომ სახლ-საკარმიდამოთა დროულად გაფორმება, სხვადასხვა ადგილობრივი, ხელოვნურად შექმნილი მიზეზებით, ყოვნდება, უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივ სასოფლო ხელისუფალთაგან უარით გამოსტუმრებული ჩვენებურები უკან ბრუნდებიან.

ყველა ჭირსა და ყველა სიხარულშიც უპირველესი ჩვენი ხელის გამწყობნი, ჩვენი უახლოესი მეზობლები, გურულები იყვნენ მუდამ. ამიტომ მე ისევ იმათი თანადგომისა და მხარდაჭერის იმედი მაქვს. მართლაც, უკვე მთელ რიგ იმაურ სოფლებში, სადაც შესაძლებელი იყო, საკმაოდ ჩასახლდნენ აჭარლები. მაგრამ ის სხვა ამბავია, რომ გურიასა და სამეგრელოს, შეძლებისდაგვარად, ნაკლებად უნდა მივაკითხოთ. ასგზის ჯობს დაცარიელებულ, საშველ-საპატრონო სხვა ძველქართულ მიწებს მივხედოთ.

ჩემი ერთი გულისტკივილიც მინდა გაგიზიაროთ. ამას წინათ ჩემი მეგობარი, მწერალი ლევან სანიკიძე ტელევიზიით საქართველოს ახლანდელ დემოგრაფიულ სიტუაციაზე საუბრობდა. ვუსმენდი და ველოდი, ან ახლა ახსენებს ერისკაცი აჭარიდან ხუთი ათას ხუთასზე მეტი ოჯახის გასახლებას ან ახლა მეთქი, მაგრამ ამაოდ. გამიკვირდა.

დღეს აჭარა არცერთ ქართულ კუთხეს არ ჩამოუვარდება თავისი ეროვნული შეგნებითა და კულტურით. მთელმა საქართველომ ნახა ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის და სხალთის მეთორმეტე საუკუნის ეკლესიის გახსნისას, დიდ ნათლობაზე, ათასობით ჩვენებურთა მოზღვავების სცენები. ეს თავისიანისაკენ, თვისტომისაკენ, მძიმე წარსულის ლაბირინთებში მიმოკარგული თავისივე თავისაკენ სამარადისო ლტოლვის გამოხატულება იყო.

საქართველოს ყველა რაიონში, როცა სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა იქ ჩასახლების საკითხი წამოიჭრა, ჩვენმა უბრალო მშრომელმა ხალხმა სწორი, მართალი, სისხლხორცეული ნათესავ-მოყვასის წმიდა გრძნობა გამოამჟღავნა. მხოლოდ აი, ასეთი გრძნობა, ნდობა და რწმენა შეინახავს საქართველოს.

ხშირად მაგონდება ერთი ხულოელი ბერიკაცის (მახვილაძე ვარო, ასე მითხრა) ნათქვამი:

რაფრათ იქნება ამფერი, ათასი წლებით მოვლილ-გადარჩენილი საქართველო ამა-იმას ვაქელ-ვაჯიჯგნოთ და ჩვენებურს ჩვენებური არ დავუძახოთო? ჩემი ძველებიც მესხეთ-ჯავახეთიდან ყოფილან, აქედან გადმოსულან. ახლა კი მე ისევ იქით მივდივარ სამუდამო სამოსახლოდ.

მახვილაძემ ისიც მკითხა, ლიტვასა და ლატვიაში მიწები დაურიგებიათ გლეხებისათვის, თქვენ რატომ არაფერს ამბობთ ამაზე, ხომ ხედავთ, კოლექტივის ხელში მიწა დასაცოდავდა, დამჭლევდა, ბარაქა გამოელია. ჩვენ ხომ ახლა, სინამდვილეში, გლეხების პაწაწინა საკარმიდამოების წყალობაზე ვართო.

ბოლოს ისევ ჯავახეთში ჩასახლებულ თანამემამულეებს დაუბრუნდა. უნდა დაჩქარდეს მშენებლობა, თორემ შეიძლება აცივებულზე ჩვენებურები უკან დაბრუნდნენო.

გამახსენდა სოფელ ჩუნჩხაში აჭარის ზეგნიდან ჩასული გლეხი როგორ სინჯავდა, ეფერებოდა იქაურ მიწას, როგორ ექავებოდა ხელები სამუშაოდ, როგორ გასცქეროდა მოსათიბ მინდორს... ეს ის დღე იყო, აჭარლებმა ჯავახეთის მიწაზე პირველად რომ იქორწინეს.

ჯერ ახალციხის ქართულ ტაძარში მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსმა საზეიმოდ ჯვარი დასწერა ნეფე-დედოფალს. იყო გალობა, ლოცვა, ენთო სანთლები, რაღაც დიადი, ძველი, მარად ამამაღლებელი და მანუგეშებელი რამ ხდებოდა. მერე, ისევ ჩუნჩხაში...

მე ვნახე, მთიელს, მეწყრით
მოოხრილ
აჭარის მთათა ვინაც იჯავრა,
ხელში ჯავახურ მიწის გოროხი
ეპყრა, სუნავდა, ფშვნიდა,
სინჯავდა.
— მსუქანია და შავი მიწაა,
ბევრი ხანია, ამას ვნატრობდი,
თქვა ხაამურად.
— მიწავ, მიცანი?—
მოვედი შენი ღვიძლი პატრონი.
თავფარავანის ქარი ხნიერი
ქართულს მღეროდა ძეწნის
რტოებთან,
და ხელისგულზე მიწა
ფხვიერი
გეგონებოდა თავს იწონებდა.
ახალმოსახლის პირველ
ქორწილზე
მობქონდა სოფელს, რაიც
ებადა,
სადღაც კლდის ქიმზე იჯდა
არწივი
და ჯავახეთის ზეიმს ხედავდა.
მეც იქ ვიყავი, ნეფე-
დედოფალს
მეც სადღეგრძელო გულით
მივართვი.
შენ, საქართველოვ, დიდხანს
გეყოფა
სიყვარული და ლოცვა იმათი.

ფრიდონ ხალვაში.

• • •

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა დახმარების ფონდში.

ხმიანობს ფუძე

ჯავახეთის უძველეს მიწაზე ოდესღაც სიცოცხლე დუღდა. ბუნების ტრფიალთ ხიბლავდა, აჯადოებდა ციხე-კოშკთა სიმრავლე, შემოგარენის ზღაპრული სიმშვენიერე. მერე იყო და, თითქოს გაწყდა სიცოცხლის ძაფი, სიჩუმემ დაისადგურა ირგვლივ. მართალია, დღეს აქ კიაფობს ცეცხლი, მაგრამ რას შეედრება იგი ჯავახეთში ოდესღაც მოგიზგიზე კოცონს.

და აი, კვლავ ახმიანდა, გაიღვიძა ძველთაძველმა ქართულმა მიწამ, აჭარის მთამაღლიდან აქ გადმოსახლებულმა ადამიანებმა ახალი სული უნდა შთაბერონ მას, მოეფერონ და დაუყვავონ, მაგრამ მარტო სურვილი არას იზამს, თუ სიტყვას საქმეც არ მოჰყოლეთ.

ჩემი შიში არცთუ უსაფუძვლო გახლავთ. იგი ჯავახეთის სოფელ კოთელიას მაგალითმა ჩამინერგა, სადაც აგერ, უკვე სამი წელია „აგრომშენის" № 9 სამშენებლო ტრესტი (მმართველი დონღუზაშვილი) მხოლოდ დაპირებით კვებავს სოფლის მკვიდრთ.

კოთელიაში ყველაფერი კვლავ მოუწესრიგებელია: არც 1985 წელს სტიქიით დანგრეული საშუალო სკოლის შენობის აღდგენაზე უფიქრიათ, არც დატბორილი 16 ბინის მშენებლობასა და არც დაზარალებულთათვის ვაგონების გამოყოფა გახსენებია ვინმეს. სწორედ ამას ვჩივივარ, ვინძლო იგივე არ განმეორდეს ჯავახეთში ჩასახლებულთა მიმართ და ცარიელი დაპირებები ბაგეზე არ შეგვაშრეს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებაში, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისა და საქსახკომარქიტექტურის საზოგადოებრივი კომისიის დასკვნაში მთიანი აჭარის მოსახლეობის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში განაწილებისას ყურადღება სამხრეთ საქართველოზე, კერძოდ ჯავახეთზე გამახვილდა. კომისიამ უპირატესობა ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებს მიანიჭა.

მთავრობის გადაწყვეტილებით აქ დაიწყება ჩამოსახლებულთათვის საცხოვრებელი სახლების უფასოდ მშენებლობა, გაუსარწყავდებათ ტერიტორია და ა. შ.

მესაქონლეობას, მეხილეობა-მებოსტნეობას ჯავახეთში ძველთაგანვე მყარი საფუძველი, ტრადიციები აქვს. აქაური ნიადაგი სოფლის მეურნეობის ამ დარგების განვითარებისათვის საუკეთესოა, რასაც თუნდაც იგივე კოთელიის მაგალითი ცხადყოფს.

ახალქალაქის რაიონის მოსახლეობის ლტოლვა გააშენონ ხეხილის ბაღები, რაიონის სოფლის მეურნეობის მესვეურთა ყურადღების საგნად უნდა იქცეს. თუკი სახელმწიფო სანერგეებიდან ყინვაგამძლე ხეხილის ნერგების შემოზიდვაში ოპერატიულ დახმარებას აღმოუჩენენ სოფლებს, ამით ამ რეგიონში სასურსათო პროგრამა ნაწილობრივ გადაწყდება, ხოლო ჯავახეთის ზეგანი ბაღნარად გადაიქცევა.

აღსანიშნავია, რომ გოგაშენის საბჭოთა მეურნეობის 65 ოჯახმა აჭარიდან ჩამოსახლებულ 30-მდე ოჯახს დაახვედრა დროებითი საცხოვრებელი ბინები, დაუმუშავა საკარმიდამო ნაკვეთები (თითოეულს 0,35 ჰექტარი), დაუთესა ხორბალი, ქერი, კარტოფილი.

გოგაშენელებს არც სხვა სოფლები ჩამორჩნენ. ახალმოსახლენი ასევე გულითადად მიიღეს ჩუნჩხის, პტენის კოლმეურნეობის მშრომელებმა, 30-მდე ოჯახი დროებით თავიანთ ბინებშივე შეიფარეს. სოფელ ჩუნჩხაში ახლახან აშენდა მეცხოველეობისა და მეცხვარეობის კომპლექსები, მიმდინარეობს სარწყავი არხის გაყვანა, გაიხსნა მუშათა სასადილო. ჩამოსახლებულები უკვე შინაურულად გრძნობენ თავს, ისინი მალე ბავშვებსაც ჩამოიყვანენ.

ვლადიმერ კოპტონაშვილი,
მეტყევე-ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ომისა და შრომის ვეტერანი.

„ჯავახეთის" დაბადება

აჭარის მთიანეთში დატრიალებულმა სტიქიურმა უბედურებამ მთელი საქართველო შეძრა. საჭირო გახდა ხალხის სხვა რეგიონებში ჩასახლება. დაზარალებულთა დასახმარებლად გაიხსნა საგანგებო ანგარიშები. მათთვის უკვე გამოიყო დროებითი საცხოვრებელი ადგილები, კრედიტი, კაპიტალური დაბანდების სახსრები ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის. მაგრამ აშკარაა, რომ საზოგადოებრიობის აქტიური, ქმედითი დახმარების გარეშე ძალზე გაძნელდება დასახული პროგრამის დროულად შესრულება. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ჯავახეთში, სადაც სამუშაოთა მოცულობა ერთობ მასშტაბურია, სამშენებლო ვადები კი შეზღუდული.

ასეთ პირობებში სანაქებო ინიციატივა გამოიჩინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა — გადაწყვიტა რუსთაველის საზოგადოებასთან დააარსოს საქველმოქმედო საშეფო ასოციაცია „ჯავახეთი", რომლის მიზანი იქნება ორგანიზებული ხასიათი მისცეს საერთოეროვნულ ძალისხმევას: მორალური მხარდაჭერა და ქმედითი მატერიალური დახმარება გაუწიოს სტიქიით დაზარალებულ აჭარის მოსახლეობას, სანიმუშო ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნას ჯავახეთის ახალმოსახლეებს, შეუმსუბუქოს მათ ახალ გარემოსთან ადაპტირების მტკივნეული პროცესი (საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებულ ასოციაცია „ჯავახეთის" წესდების პროექტი „კომუნისტის" 6 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა).

ასოციაციის დამფუძნებელი სათათბირო გაიმართა 12 ივლისს, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. დამტკიცდა წესდება.

ასოციაციის სათათბიროს გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გიულ ძიძიგური.

„კომუნისტის" კორ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიაში

ქ. თბილისი 1989 წლის 9 აპრილს მომხდარ გარემოებათა გამომკვლევი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის მორიგი სხდომის წინ კომისიის წევრები მიიწვიეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში". აქ კომისიის წევრებისათვის საგანგებოდ მოაწყვეს მომხდარი მოვლენების ამსახველი დოკუმენტური ვიდეოფილმების ჩვენება. კადრები პირუთვნელად გადმოგვცემენ აპრილის იმ დღეების საგანგაშო ქრონიკას, რომლებიც წინ უძღოდა ტრაგიკულ დაბოლოებას. ფირი საათ-საათ, წუთ-წუთ აღნუსხავს ყოველივეს, რაც იმ ღამეს მოხდა მთავრობის სახლთან...

ბუნებრივია, რომ მეორე დღეს გამართული კომისიის სხდომა დაიწყო ცოცხალი აზრთა გაზიარებით ყოველივე იმის შესახებ, რაც ეკრანზე ნახეს. როგორც პროფესიონალთა, ისე მოყვარულთა ვიდეოკამერების ფირზე აღბეჭდილმა მოვლენებმა ხომ კომისიის ყოველ წევრს საშუალება მისცა კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოედგინა დატრიალებული ამბების რეალური სურათი, უფრო ღრმად გაეცნობიერებინა და გაეზიარებინა ყოველივე. არადა, მისი მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირის, მომხდარი ტრაგედიის ყველა ასპექტის ზედმიწევნით შესწავლა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, თუ არ მოვისმენთ თვითმხილველთა უტყუარი ნაამბობი.

ამჯერად კომისიას ახსნა-განმარტებას აძლევდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი სესილი გოგიბერიძე. უპასუხა რა კონკრეტულ შეკითხვებს, მან სხდომის მონაწილეებს უამბო, თუ როგორ მოქმედებდნენ პირადად იგი და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხვა წევრები აპრილის იმ ძნელ დღეებში, როგორ ყალიბდებოდა მათი ურთიერთდამოკიდებულება პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, მის ბიუროსთან ტრაგედიამდე და ტრაგედიის შემდეგ. გააანალიზა და შეაფასა რა მომხდარი მოვლენები რესპუბლიკის კომკავშირული ლიდერის პოზიციებიდან, ს. გოგიბერიძემ აღნიშნა, რომ კომკავშირმა მაშინ ვერ შეძლო გაძღოლოდა სიტუაციას, თუმცა ბევრს ეცადა. კომკავშირული წინამძღოლნი დიალოგს მართავდნენ მომიტინგეებთან, რომლებიც იკრიბებოდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთავარი კორპუსის წინამდებარე მოედანზე, რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. მათ სცადეს გამოენახათ საერთო ენა მანიფესტანტებთან მთავრობის სახლთანაც, ცოტა ხნით ადრე იქამდე, სანამ ტრაგედია მოხდებოდა. მაგრამ ვერც აქ პოვეს გაგება და მხარდაჭერა. თავი იჩინა ახალგაზრდობაზე კომკავშირული ორგანიზაციის გავლენის საგრძნობმა შესუსტებამ, რაც უკანასკნელ წლებში დაიწყო და ახლაც გრძელდება, მათმა მოწყვეტამ ახალგაზრდების საარსებო ინტერესებისა და მისწრაფებებისაგან.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსის ჯუმბერ სურმავას ინფორმაცია. მან ილაპარაკა იმ სახანძრო მანქანების ამ ბოლო დრომდე გაურკვეველ დანიშნულებაზე, 9 აპრილს დილით რომ გამოჩნდნენ მთავრობის სახლთან სამხედრო ტექნიკისა და ჯარის ქვედანაყოფების შემოსვლისთანავე. როგორც გამოირკვა, ისინი გამოუძახებიათ ოპერაციის ხელმძღვანელთა განკარგულებით, რათა სწრაფად ჩაექროთ ცეცხლი, თუ ვინიცობაა, ტექნიკას ალი მოედებოდა ან ახლომდებარე შენობებში ხანძარი გაჩნდებოდა.

კომისიის წევრები გაეცნენ მისი საგამოძიებო ქვეკომისიის მიერ მომზადებულ და წარმოდგენილ დასკვნას მიტინგის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მართლზომიერების საკითხზე, რომელიც წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის საკვლევი ცენტრის დირექტორის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ჯონი ხეცურიანმა. დასკვნა შეიცავს ამ გადაწყვეტილების მიღების თვით ფაქტის არა მარტო სამართლებრივ, არამედ, აგრეთვე, სოციალურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ შეფასებასაც, და შემადგენელ ნაწილად შევა კომისიის ზოგად დასკვნაში.

(საქინფორმი).

რედაქციისაგან: 9 ივლისს „კომუნისტში" გამოქვეყნებული 1989 წლის 9 აპრილის გარემოებათა გამომკვლევი კომისიის მორიგი სხდომის ანგარიში საჭიროებს დაზუსტებებს. კერძოდ, რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ ნუგზარ შოშიაშვილმა კომისიისათვის მიცემულ განმარტებაში აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 8 აპრილს ჩატარდა თბილისში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით მოწვეული რიგითი თათბირი და არა თავდაცვის საბჭოს სხდომა, ხოლო ტრაგედიის შემდეგ შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში სამხედრო პროკურატურას მონაწილეობა არ მიუღია, რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილის უშუალო გაფრთხილების მიუხედავად. ასევე დასაზუსტებელია აპოლონ სილაგაძის საუბრის ზოგიერთი ჩანაწერი. როდესაც პრესაზე, კერძოდ, „სახალხო განათლებაზე" ზემოქმედების შესახებ ლაპარაკობს, მან განმარტა, ასეთი კონტროლი იგრძნობოდა ცენტრიდან ჩამოსული ამხანაგების მხრიდან.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმმა შეისწავლა გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" მუშაობა ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგიკული ამბების შემდეგ და აღნიშნავს, რომ მთავარი მიზანი, რომელიც გაზეთის რედაქციამ დაისახა, ის არის, რომ მომხდარი ტრაგედიის მთელი სიმძიმე დააბრალოს საქართველოს მოსახლეობას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ამასთან ყოველნაირად ცდილობს მიჩქმალოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის და ჯარის ქვედანაყოფების სამარცხვინო როლი და გაამართლოს ისინი. უფრო მეტიც, გაზეთმა ისე ღრმად შეტოპა, რომ უხეში კრიტიკის ნიაღვარი დაატეხა თავს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის პრაქტიკულად ყველა ორგანოს, იკისრა მოვლენათა ე. წ. „ქამთა აღმწერლის", ჭეშმარიტების დამდგენი უკანასკნელი ინსტანციის როლი. გაზეთი, რომელსაც აშკარად ვერ გაუცნობიერებია მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე დემოკრატიზაციის ბუნებრივი პროცესების ობიექტურობა, გაუკუღმართებულად უხატავს მკითხველს საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას.

განსაკუთრებით მიკერძოებული, მიუღებელი ტონით, ანტიინტერნაციონალისტური გეზით გამოირჩევა პოლკოვნიკ ი. პავლოვის პუბლიკაციების სერია „მხოლოდ სიმართლე მოხსნის საკითხებს", რომელიც გაზეთის ოთხ ნომერში (11-14 ივნისს) გამოქვეყნდა, ამავე ავტორის სერიალი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ღიმილი" (30 ივნისიდან 6 ივლისამდე ნომრები), მაიორ ვ. ნაზაროვის სტატია „მოგერიება? არა, შემოტევა" (20 ივნისი), ისტორიკოს მ. სვეტლანას პუბლიკაცია „გამქრალი ილუზიები" (20 ივნისი), ი. პლანეტნის ადგილობრივი გაზეთების მიმოხილვა „ურემი რომ გადაბრუნდება, მერე ყველანი მაგრები ვართ" (21 ივნისი), მ. ნოვაკის ღია წერილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს, მწერალ ბ. ვასილიევს „დავიცვათ ჯარისკაცის ღირსება" (21 ივნისი), ვ. სიტნიკოვის კორესპონდენცია „როგორ აცხობენ ნაყალბევებს" (23 ივნისი) და მთელი რიგი სხვა პუბლიკაციები. როგორც მასალების შინაარსიდან ირკვევა, ამ პროპაგანდისტული კამპანიის მიზანია მისწრაფება — აუმხედრონ ქართველ ხალხს საბჭოთა არმია და რესპუბლიკის მთელი არაქართველი, განსაკუთრებით რუსი მოსახლეობა. გაზეთის რედაქცია არარად აგდებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის 9 აპრილის ამბების გარემოებათა შემსწავლელი კომისიის ავტორიტეტს და უტიფრად აყალბებს ფაქტებს, ამახინჯებს ციტატებს, შეურაცხყოფს რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელობას, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიას, არაობიექტურად და არამართლზომიერად აფასებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, მასობრივი ინფორმაციის ცენტრალურ და რესპუბლიკურ საშუალებებს. უფრო მეტიც, „ლენინსკოე ზნამიას" პუბლიკაციები, რომლებიც ფეხქვეშ თელავს ჟურნალისტური ეთიკის ყოველგვარ ნორმებს, შეიცავენ აშკარად შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების თამაზ გამყრელიძის, აკაკი ბაქრაძის, ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების, მაგალითად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, გამოჩენილი პოეტის მუხრან მაჭავარიანის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვახტანგ ბერიძის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ ლევან ალექსიძის, პროფესორ მერაბ მამარდაშვილის და სხვათა მიმართ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქციის ჟურნალისტებმა თავიანთი გამოცემის ფურცლებზე არსებითად აღორძინეს 30-50-იანი წლების ჟურნალისტიკის ყველაზე უარესი ნიმუშები, დაადგნენ გარდაქმნის, დემოკრატიზაციის, საჯაროობის, სოციალისტური პლურალიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის გზას, მისტირიან სტალინის ხანას და უძრაობის პერიოდს, როდესაც ყვე[illegible]ლა საკითხი და პრობლემა [illegible] პოზიციიდან წყდებოდა.

ამ რთულ დღეებში, როდესაც გარდაქმნის პროცესებმა გააშიშვლა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ბევრი დეფორმაცია, წარსულში საგულდაგულოდ რომ იჩქმალებოდა, როდესაც ქვეყნის ბევრ რეგიონში გამწვავდა ეროვნებათშორისი ურთიერთობა, საბჭოთა ჟურნალისტების ვალია, ფართო მასებში შეიტანონ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან პრესის ისეთი ორგანოები, როგორიცაა, მაგალითად, გაზეთი „ლენინსკოე ზნამია", რომლის ჟურნალისტები სულ სხვა მიზნებს ისახავენ. ამასთან დაკავშირებით „ლენინსკოე ზნამიას" ჟურნალისტები მოვიწვიეთ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე, რათა გაგვემართა საფუძვლიანი და კეთილმოსურნე დიალოგი, შეგვემუშავებინა გზები, დაგვეძლია მათი დაუფარავი კონფრონტაცია რესპუბლიკურ პრესასთან. ამასთან, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმი იმით ხელმძღვანელობდა, რომ ასეთი კონფრონტაცია არ უწყობს ხელს ურთიერთგაგებას, ნდობას, ხალხისა და ჯარის დაახლოებას, რომელიც ესოდენ აუცილებელია დღეს. მით უმეტეს, რომ ეს ამოცანები უშუალოდ გამომდინარეობდა ღონისძიებათა გეგმიდან, რომელიც დამტკიცდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსთან ერთად. სამწუხაროდ, „ლენინსკოე ზნამიას" ჟურნალისტებმა მიწვევა არ მიიღეს.

შექმნილი სიტუაცია დიდად აფიქრებს და აღაშფოთებს არა მარტო საქართველოს ჟურნალისტებს, არამედ რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობასაც. იბადება ბუნებრივი კითხვა, რამდენად ეთიკურია, რომ „ლენინსკოე ზნამიას" მთელი რიგი ჟურნალისტები ატარებდნენ რესპუბლიკის საპატიო წოდებებს, ხოლო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობა საქართველოს ტერიტორიაზე სცემდეს ბეჭდვითი ორგანოს, რომელიც შუღლს თესავს ხალხებს შორის, ქართველ ერსა და საბჭოთა არმიას შორის. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი იტოვებს უფლებას განიხილოს თავის პლენუმზე გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქტორისა და ზოგიერთი თანამშრომლის ჟურნალისტური პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

P. S. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიმართ „ლენინსკოე ზნამიას" ჟურნალისტების, მეტი რომ არა ვთქვათ — უპატივცემლო, ყოველგვარ კოლეგიურობას მოკლებული დამოკიდებულების კიდევ ერთი თვალსაჩინო დასტურია გაზეთის მორიგი გამოხდომა 13 ივლისის ნომერში, სადაც ქ. ვალენტინოვის სტატიაში — „არაფრის დანახვა და გაგონება არ სურთ... ვინ არის მეჯლისის გამგებელი თბილისში?" — სიტყვა-სიტყვით შემდეგი რამ არის ნათქვამი:

„სიცრუე, ცილისწამება, ტყუილი საქართველოს ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლების, მათ შორის, უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლების, პრესის და ტელევიზიის მუშაკების, კინემატოგრაფისტების ლამის ყოველდღიური თანამგზავრი გახდა... ისინი ცდილობენ გავლენა მოახდინონ ჩვენს გაზეთზეც, რათა მოვეშვათ განგაშს თბილისში ნაციონალიზმისა და ანტისაბჭოურობის აზვირთების გამო.

მაგალითად, მათ „გამართეს" თავისებური „მრგვალი მაგიდა" კინოსტუდიაში, სადაც „დაპატიჟეს" გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქციის თანამშრომლები. იგივე სცადეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წარმომადგენლებმაც, რომლებიც ყოველნაირად ისწრაფოდნენ მივეტყუებინეთ თავიანთი პრეზიდიუმის ეგრეთ წოდებულ სხდომაზე...".

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

სამკურნალოდ — ზაარბრიუკენში

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მედიკოსთა ჰუმანური აქცია

თბილისელთა ჯგუფი, რომელიც 9 აპრილს მოიწამლა მიტინგის მონაწილეთა წინააღმდეგ ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენების შედეგად, 15 ივლისს მკურნალობის კურსის გასავლელად მიემგზავრება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ეს საქებარი ინიციატივა გამოიჩინა ზაარის მხარის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, რომელსაც საქართველოსთან აკავშირებს პარტნიორული ურთიერთობის ხელშეკრულება. ავადმყოფებს მიჰყვება რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს [illegible]თავარი სამმართველოს № 2 [illegible]ოფო-პოლიკლინიკის მთავა[illegible]ის მოადგილე თეიმურაზ მალიკაშვილი.

გამგზავრების წინ მან ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს.

— გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიემგზავრება ათი კაცი. არადა, ტრაგედიის დროს და მომდევნო დღეებში ექიმებს მოწამვლის ჩივილებით მიმართა ასობით კაცმა, რომელთაგან ბევრი ჰოსპიტალიზებული იყო. რა პრინციპით შეარჩიეს გერმანიაში გასაგზავნი ავადმყოფები?

— უნდა ითქვას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობამ გულთან ახლოს მიიტანა საქართველოში მომხდარი უბედურება. ჩვენთან საკუთარი ინიციატივით ჩამოვიდნენ და ახლაც თბილისში არიან ამ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის კლინიკების ექიმები. ჩამოიტანეს მედიკამენტები, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ტოქსიკური ნივთიერებებით მოწამლულთა გამოკვლევასა და მკურნალობაში. უკვე ორ თვეზე მეტია ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან და რესპუბლიკის მედიკოსებთან ერთად აკვირდებიან ავადმყოფებს დისპანსერის დიაგნოსტიკურ განყოფილებაში. განყოფილება საგანგებოდ გაიხსნა ამ მიზნით თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში, გადაწყვეტილია, რომ დაშავებულთ სულ ცოტა ხუთი წელი უნდა ჰქონდეთ დაწესებული სამედიცინო კონტროლი. გერმანელმა კოლეგებმა მთელი ამ დროისათვის შემოგვთავაზეს თავიანთი დახმარება.

თავდაპირველად დასავლეთგერმანელმა ექიმებმა გადაწყვიტეს ასეთი პაციენტების სამკურნალოდ მხოლოდ ჰომეოპატიურ საშუალებებს დასჯერებოდნენ, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში მათ ვერ მიაღწიეს მოსალოდნელ ეფექტს, ვინაიდან მოწამვლა გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ. ამიტომ თავად შეარჩიეს ავადმყოფები, რომლებსაც, მათი აზრით, მოწამვლის ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომები ჰქონდათ და გადაწყვიტეს გაეგზავნათ ისინი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მკურნალობის უფრო ეფექტიანი ტაქტიკის შესამუშავებლად.

ავადმყოფთა კანდიდატურები საბოლოოდ დაზუსტდა, როდესაც თბილისში ჩამოვიდა ზაარის მხარის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე ჰანს ვერნერი.

— სად იქნებიან დაშავებულები?

— ზაარბრიუკენის — თბილისის პარტნიორი ქალაქის უნივერსიტეტის კლინიკაში, რომელიც საუკეთესო სამედიცინო აპარატურით არის აღჭურვილი. ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის აქ გამოიყენება მედიცინის მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები. კოლეგები გვპირდებიან, რომ მზრუნველობასა და ყურადღებას არ მოაკლებენ თბილისელებს. ჩვენი ვარაუდით, ისინი ზაარბრიუკენში სამ-ოთხ კვირას დაჰყოფენ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მათი ყოფნის მთელი ხარჯები იკისრა ზაარლანდის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ. საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტრო იხდის ავადმყოფთა იქით-აქეთ მგზავრობის საფასურს.

— როგორ აფასებთ თქვენ დაშავებულთა მდგომარეობას?

— იგი აღარ არის საშიში, თუმცა ზოგიერთი ავადმყოფი ჯერაც სტაციონარშია. ისინი ყველანი მიემგზავრებიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

— როგორც გავიგე, ამ ჰუმანურ აქციაში მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, ფსიქოლოგსა და რეჟისორს ვოლფგანგ ფრიკეს...

— უდავოდ, ძნელია ჯეროვნად არ შეაფასო საქართველოს ამ დიდი მეგობრის მონაწილეობა ჩვენი პაციენტების ბედ-იღბალში. იგი ხშირად ჩამოდიოდა რესპუბლიკაში და ჩვენში ფართო პოპულარობა აქვს მოხვეჭილი. საერთაშორისო ორგანიზაცია „იდრიარტის" სახელით მან საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდის საქართველოს განყოფილებას გადმოსცა მილიონი დოლარი, რომელიც განკუთვნილია რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხეიბარ ბავშვთა სოფლის აშენებისათვის. თბილისში დატრიალებული უბედურების ამბავი რომ გაიგო, ვოლფგანგ ფრიკემ აქ ჩამოიყვანა ექიმთა ჯგუფი და მოგვცა წინადადება მოვაგვაროთ მედიკოს სპეციალისტთა მუდმივი გაცვლა. სხვათა შორის, მე უნდა განვაგრძო თბილისში დაწყებული მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ საქართველოს დედაქალაქში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ერთად აშენდეს დიდი საავადმყოფო.

იური გოლდმანი,
საქინფორმის კორ.

შრომითი სემესტრი—89

ახალგაზრდათა ხელით

საავტომობილო გზების მშენებლობა ცაგერის, ონის, ჩოხატაურის რაიონებში, კულტურის სახლის მშენებლობა ტყიბულში, არქეოლოგიური გათხრები ქუთაისში, ვანში, შორაპანში, სარესტავრაციო სამუშაოებში მონაწილეობა — ასეთია ქუთაისის სტუდენტობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სამუშაო გეგმები ზაფხულის არდადეგების პერიოდში.

— წელს ჩვენი ქალიშვილები და ვაჟები — თუ არ ჩავთვლით პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიემგზავრებიან, — ზაფხულში საქართველოს ფარგლებში იშრომებენ, — გვითხრა ქუთაისის სტუდენტური რაზმების ზონალური შტაბის თავმჯდომარემ რამაზ გამთენაძემ. — სიახლეა ისიც, რომ რაზმები ჩამოყალიბდა თვით ახალგაზრდათა სურვილების გათვალისწინებით. მიმდინარე წელს ჩვენთან პირველად იმუშავებს მთიბავების რაზმი, სადაც, ძირითადად, გაერთიანებულია ამბროლაურის რაიონის ახალგაზრდობა.

ისინი დაეხმარებიან მეცხოველეებს პირუტყვის საკვები ბაზის შექმნაში. 50-კაციანი ჯგუფი იმუშავებს ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მშენებლობაზე, სადაც მიმდინარე წელს უნდა ჩაბარდეს საძახავო წარმოება... ძნელია ჩამოთვალოთ ყველა ის ობიექტი, სადაც ამ ზაფხულს შეიძლება შეხვდეთ ქუთაისის პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტურ რაზმებს, კოოპერაციული, პოლიტექნიკური, ავტომექანიკური ტექნიკუმების, სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეებს.

(საქინფორმი)

აქტუალური ინტერვიუ

ტომი ეძღვნება ქართულ ლიტერატურას

თბილისში იმყოფებოდა ერევნის საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა „არევიკის" (მზე) მთავარი რედაქტორი, მწერალი და პუბლიცისტი გევორკ დევრიკიანი. გთავაზობთ მასთან საუბარს სერიის „მსოფლიო ლიტერატურა ახალგაზრდობისათვის" სომხურ ენაზე გამოცემის შესახებ (საუბარი გამოქვეყნდა გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანში").

— რა იყო თქვენი თბილისში ჩამოსვლის მიზანი?

— სასიკეთო საქმე წამოვიწყეთ: სომხურ ენაზე პირველად გამოდის ასეთი სერია. ერთ-ერთი ტომი, 40 თაბახამდე, ქართულ მწერლობას ეთმობა. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ცალკე ტომი არც ერთი რესპუბლიკის ლიტერატურას არ დასთმობია. ასეთი გამონაკლისის დაშვება განაპირობა იმ სულიერმა ნათესაობამ, რომელიც ჩვენს ორ ერს აკავშირებს.

ტომის შედგენა დაევალა ქართული ლიტერატურის სპეციალისტს, ერევნის უნივერსიტეტის არმენოლოგიის პრობლემური ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ჰრაჩია ბაირამიანს.

უკვე შედგენილია ტომის გეგმა-მონახაზი. ქართველ კოლეგებთან სწორედ გეგმის განსახილველად ჩამოვედით თბილისში. აქ შევხვდით და ვესაუბრეთ ცნობილ ქართველ პროზაიკოსს, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს, ჟურნალ „დილის" მთავარ რედაქტორს რევაზ ინანიშვილს, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს ოთარ ნოდიას, გამომცემლობა „ნაკადულის" მთავარ რედაქტორს ნონა კალანდარიშვილს.

გეგმა, მცირედი დამატებებით, მოწონებულია.

— რა თემატიკას მოიცავს ამ სერიის ქართული ტომი და რა პრინციპებზეა იგი აგებული?

— ტომი მოიცავს ნორჩებისა და ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომ ქართული ლიტერატურის ნიმუშებს — დასაბამიდან დღემდე. ტომში სათანადო ადგილი დაეთმობა ძველ, შუა საუკუნეების, ახალ და უახლეს ლიტერატურას. ტომში შევა იაკობ ცურტაველის, იოანე საბანისძის, ლეონტი მროველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და სხვა ავტორთა ნაწარმოებები.

ახალი დროის მწერალთა ნაწარმოებებიდან ტომში შევა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და ქართული ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა ქმნილებები.

საბჭოთა პერიოდის ლიტერატურიდან თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ნოდარ დუმბაძის და რევაზ ინანიშვილის შემოქმედება. ტომში წარმოდგენილი იქნება ზეპირი ხალხური შემოქმედების ნიმუშებიც. წიგნში დაიბეჭდება შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის ფრაგმენტები, ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანისა და სხვა პოეტების ლექსები.

— რა პრინციპებით უნდა შეირჩეს ნაწარმოებების თარგმანები?

— სომხურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას დიდი ტრადიციები აქვს და, ბუნებრივია, შექმნილია ქართული ლიტერატურის ნიმუშების მხატვრული თარგმნის დიდი გამოცდილება. არსებობს ათზე მეტი პროზაული და პოეტური ნაწარმოებების კრებულები და ქრესტომათიები. ტომისთვის შეირჩევა საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებმაც გაუძლეს დროის გამოცდას. მრავალი ნაწარმოები კი პირველად ითარგმნება.

ცნობილია, რომ ქართულ ლიტერატურას თარგმნიდნენ ჰოვანეს თუმანიანი, ვაჰან ტერიანი, ავეტიკ ისააკიანი, ეღიშე ჩარენცი, გევორგ ასატური, სტეფანე ზორიანი, ჰოვანეს შირაზი, ვაჰან დავთიანი, ნაირი ზარიანი, პარუირ სევაკი, ჰრაჩია ოვანესიანი, ჰოვანეს კარაიანი, არტაშეს პოლოსიანი, რაზმიკ დავოიანი და სხვები.

სხვათა შორის, ამ საკითხის გადასაწყვეტად თბილისში ჩამოვიდა ცნობილი პოეტი და მთარგმნელი არტაშეს პოლოსიანი.

— როდის აპირებთ გამოცემას?

— წიგნი შეტანილია 1990 წლის საგამომცემლო გეგმაში და, ალბათ, მომავალი წლის მეორე ნახევრისათვის მას მიიღებს მკითხველი. (საქინფორმი).

მიმდინარეობს გამოძიება

მიმდინარე წლის 12 ივლისს, ღამით, ქუთაისის რაიონში ერთ-ერთ დაცულ სამხედრო ობიექტზე ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს სამხედრო მოსამსახურე. მისი იარაღი და ტყვია-წამალი გაიტაცეს.

შემთხვევის ადგილას ახლომდებარე სახლების მცხოვრებთა გამოძახებით მოვიდა მილიციის შეიარაღებული განწესი. მასსა და პირად შემადგენლობას შორის, რომელიც იცავს სამხედრო ობიექტს, მოხდა გაუთვალისწინებელი ინციდენტი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. ამის შედეგად ორივე მხრიდან არიან დაჭრილები.

საქმეს იძიებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პროკურატურა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურასთან ერთად. (საქინფორმი).

თხევადი გაზის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

დასავლეთ ციმბირი-ურალ-ვოლგისპირეთის გათხევადებული გაზის პროდუქტსადენზე მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით ივნისში რესპუბლიკას შეუმცირდა თხევადი გაზის მოწოდება თვიური გეგმის 25 პროცენტით ანუ 3700 ტონით.

მისი მოწოდება ივლისშიც დაკლებით მიმდინარეობს. 13 ივლისისათვის რესპუბლიკამ ვერ მიიღო 3000 ტონა თხევადი გაზი. გამორიცხული არ არის, რომ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდეს უახლოეს პერიოდში.

სათბობის სახელმწიფო კომიტეტი ყველა ზომებს იღებს მდგომარეობის გამოსასწორებლად და სთხოვს ყველა მომხმარებელს მომჭირნეობით გამოიყენონ თხევადი გაზი.

საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი.

გაზეთ „პრავდის" რედაქციას ამხ. ვ. გ. აფანასიევს (პირადად)

გაზეთ „პრავდის" რედაქციას დაბეჯითებით მოგმართავთ, რათა გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოთ ჩემს მიერ წარმოდგენილი განცხადება, რომელსაც ვადგენ გაზეთ „პრავდაში" ამა წლის 12 ივლისს გამოქვეყნებულ მასალასთან სახელწოდებით „ფედერალური კავშირი" — დაკავშირებით. ყოველივე ამას უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

აღნიშნული მასალის წამყვანი ავტორი, ამ სიტყვის სრული გაგებით, გახლავთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ა. მიხალევა.

ამ შემთხვევაში მე მეკუთვნოდა მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე როლი, რომელიც გამოიხატა, კერძოდ, ფრიად თეორიულ მსჯელობაში ლენინური საბჭოთა სოციალისტური ფედერალიზმის ზოგიერთი წამყვანი პრობლემის მოკლე მიმოხილვით და რედაქციაში საკმაოდ აწონ-დაწონილად და მოკლედ ჩვენი რესპუბლიკური მასალების წარდგენით. ზემოთ ხსენებული მასალა მოცემულ სტატიაში, უნდა ითქვას, რომ სანახევროდაც არ არის წარმოდგენილი და ხელუხლებლად ინახება რედაქციაში.

საკმაოდ დიდი მოცულობის მასალა, რომელიც ეხება ჩვენს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს და ზოგიერთ სხვა დებულებებს წარმოდგენილი სტატიისა, უნდა განსაკუთრებულად ხაზი გაესვას, მთლიანად ეკუთვნის პატივცემულ ნ. ა. მიხალევას კალამს (ამასთან, უნდა ითქვას მასალა ჩემს მიერ ხელმოწერილი არ არის).

მე ამას ყველაფერს გავეცანი პირველად, ჩემდა სამწუხაროდ, მხოლოდ გაზეთ „პრავდის" მიღების შემდეგ ე. ი. 12 ივლისს დილით.

მთელ რიგ მიზეზთა გამო მე არავითარ შემთხვევაში არ წარმომედგინა, რომ მუშაობა სტატიის ტექსტზე ჩათვლილია დამთავრებულად.

პასუხს ვაგებ მოცემული განცხადების თითოეულ სიტყვაზე.

პატივისცემით

შ. პაპიძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის რექტორი
12 ივლისი, 1989 წ.

რედაქციისაგან: გაზეთმა „პრავდამ" 14 ივლისის ნომერში უკვე დაბეჭდა შ. პაპიძის განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. „კომუნისტის" რედაქციას განზრახული ჰქონდა სწორედ ამ განმარტების გადმობეჭდვა, მაგრამ შ. პაპიძის დაჟინებული თხოვნის გამო უცვლელად, ყოველგვარი აზრობრივი თუ სტილისტური დაზუსტების გარეშე ვაქვეყნებთ იმ ტექსტს, რომელიც ავტორმა ჩვენს რედაქციაში წარმოადგინა.

სპორტის ამბები

ახალგაზრდულ ასპარეზობაზე

ლვოვში დამთავრდა თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრება. პირად ჩათვლაში ვერცხლის მედალს დაეუფლა თბილისელი რევაზ ლოხიშვილი. სამწუხაროდ, მას თანაგუნდელებმა ვერ აუბეს მხარი და ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ტურნირში მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა. პრიზიორთა შორის არიან უკრაინის, ყაზახეთისა და ლატვიის ხუთჭიდელები.

მიზანთან ახლოს არის საქართველოს მოჭადრაკე გოგონათა გუნდი. საბოლოო გამარჯვებისათვის მას ერთი ქულაც ჰყოფნის. ბოლო ტურში ჩვენი მოჭადრაკეები მოლდაველებს ეთამაშებიან. ჩვენმა ჭაბუკებმა ფრედ (2,5:2,5) დაამთავრეს შეხვედრა სომეხ თანატოლებთან და ჯერჯერობით მეშვიდე ადგილზე არიან.

კეტბურთელებმა უკვე ხუთი ტური გამართეს. ჩვენმა სპორტსმენებმა ბოლო მატჩი უკრაინელებთან ითამაშეს და მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ — 11:12. რსფსრ-ს გუნდმა ასეთივე ანგარიშით მოუგო ლიტველთა კოლექტივს, მოსკოველებმა აჯობეს ლენინგრადელებს — 37:6, უზბეკეთის ნაკრებმა კი აზერბაიჯანელებს — 14:2, შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 8-8 ქულით ლიდერობენ რსფსრ-ისა და უკრაინის კეტბურთელები, 6-6 ქულა მოაგროვეს საქართველოსა და უზბეკეთის გუნდებმა.

13 ივლისს, „სვეტიცხოვლობაზე"...

13 ივლისს მცხეთაში გაიმართა სახალხო დღეობა „სვეტიცხოვლობა", რომელმაც უამრავ სტუმარს მოუყარა თავი. იგი დაემთხვა 12 მოციქულის სულის მოსახსენიებელ დღეს. 13 ივლისსავე დამთავრდა მორწმუნეთა და სასულიერო პირთა ერთი ჯგუფის ქვეითად სვლა ქართველთა განმანათლებლის — წმინდა ნინოს ნაკვალევზე, ჯავახეთიდან მცხეთამდე.

სვეტიცხოვლის ტაძარში მოეწყო საზეიმო წირვა. მრევლი დალოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. შემდეგ გაიმართა საყოველთაო ნათლობა-განბანვა მტკვრისა და არაგვის შესართავთან.

◆

სურათზე: „სვეტიცხოვლობა". ვარლამ გენგიურის („კომუნისტი") ფოტო.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე რედაქციის მუშაკი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი

ბაკურ პეტრეს ძე ბახტურიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორის მოადგილე მ. უზრეხელიძე.

ტელევიზია — შაბათი, 15 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.35 — გასართობი პროგრამა. 10.20 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 10.50 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ზღაპრების მეჯლისი". 11.55 — თეატრალური ფოსტა. 13.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რკენა". 13.15 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 13.20 — საინფორმაციო გამოშვება. 13.30 — მოსწავლეთათვის — „აბა, დელია...". 14.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.20 — „ახალგაზრდობა". სატელევიზიო პროგრამა. 15.10 — ტელემაყურებელი და საერთაშორისო ცხოვრება. 15.45 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 15.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.10 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.00 — ხელოვნების ლექტორიუმი. 17.30 — კონცერტი. 18.00 — შეხვედრა მწერალ რეზო ჭეიშვილთან. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „მარნებს პურ-ღვინით ვერ აგავსებს". 21.05 — დიალოგი რეზო თაბუკაშვილთან (განმეორებით). 22.00 — „ვრემია". 22.40 — ილუზიონი.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.30 — ჩვენი ბალი. 10.00 — ფილმ-კონცერტი. 10.30 — მულტფილმი. 11.00 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 12.00 — მხატვრული ტელეფილმი „სახვალიო ცხრილი". 13.25 — ხალხური გუნდი „ვეჩორკა". 13.50 — სოციალიზმის ქვეყნებში. 14.20 — უკრაინული კინოხელოვნება. 15.50 — „რუსეთის ბოშური სიმღერები. 16.30 — დოკუმენტური ფილმი. 16.55 — ცხოველთა სამყაროში. 17.55 — მულტფილმი. 18.10 — შეხვედრა მწერალ ა. ბიტოვთან. 19.25 — „პლანეტა". საერთაშორისო პროგრამა. 20.25 — ვასილ შუქშინის ფილმები და როლები. მხატვრული ფილმი „ორი თევდორე". 22.00 — „ვრემია". 22.40 — ტელემაყურებლის თანამგზავრი. 23.00 — „სიმღერა-89". 0.10 — „მონტაჟი". ახალგაზრდული ტელეფელეტონი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სოფლის საათი. 10.15 — მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიათა ფილმები. „ბალახის ფესვები". II სერია. 11.20 — გადაცემა ორიოლიდან. 11.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „მედეოს რაინდები". 12.00; 14.00 და 18.00 — ახალი ამბები. 12.10 — მხატვარი ევგენი შიროკოვი. 13.00 — ე. კისინის კონცერტი. 13.40 — „დროისა და საკუთარი თავის შესახებ". ვლადიმერ მაიაკოვსკი. 14.10 — აშშ ჩემპიონატი კალათბურთში. 14.10 — „მივლინება სიეტლში". 16.10 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ჟირკვა". 17.40 — მულტფილმი. 18.10 — „ოპერეტის მსახიობი". ნ. რუბანი. 18.55 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.40 — „მაჰმუდ ესამბაევის თეატრი". 20.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 20.25 — მღერის ბ. ნიკოლაევი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — მძლეოსნობა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „პ" ნიშნით". შესვენებისას — 23.25 — ექო: ერთი კვირის ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10439 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14